ხუთშაბათი. 1919 წ. იანვრის 16. № 11
ყოველდღიური გამოცემა

ხუთშაბათი 1919 წ. იანვრის 16 № 11
ფასი თბილისში და პროვინციაში 1 მან. რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ელირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## უკანასკნელი ცნობები დღეიდან გაზეთის მეორე გვერდზე დაიბეჭდება

## გამოვიდა გასაყიდათ
### საქართველოს კედლის კალენდარი 1919 წლის.
ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენაზე.

კალენდარი არის დიდი ზომისა როგორც გამოდიოდა „Закавказскій календарь“-ი. კალენდრის გარე კანზე მოთავსებულია ეროვნული და რევოლიუციონური დროშა, ნ. ნ. ჟორდანიასი და კარლო ჩხეიძის სურათები, საქართველოს ღერბი და სხვა. გარე კანი დახატულია ფერადი საღებავებით იაკობ ნიკოლაძის მიერ.

კალენდარის ზედა პირზე მოთავსებულია ფერადი საღებავებით საქართველოს ღერბი საპრემიოთ დახატული მხატვარი შარლემანისაგან.

კალენდრის ფასი თბილისში ცალობით 10 მან., გამყიდველებს დაეთმობათ 9 მან.

კალენდრის საწყობი: მთავრობის სტამბა, კალოუბნის ქუჩა, № 5.
1—95—1

## გამოვიდა ქართულ ენაზე
„ახალი კანონები მუშათა დაზღვევის და უზრუნველყოფ სა ავადმყოფობის დროს“.
იყიდება შრომის სამინისტროს კანცელარიაში და ჰღირს ორი მანეთი.
5—2021—1

## სახელმწიფო თეატრი
საოპერო დასი ს. ი. ევლახოვისა
დღეს, 16 იანვარს წარმოდგენილი იქნება:
# აფრიკანკა
დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

18 იანვარს „კამორრა“, კვირას, 19 იანვარს დილით „რიგოლეტტო“, საღამოთი
ლოტბარ სტოლერმანის ბენეფისი
## რუსლან და ლიუდმილა

## ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
# „საქართველო“
1919 წელ. | ყოველდღიური გამოცემა | 1919 წელ.

მერივ მასალის გარდა გაზეთში დაიბეჭდება ვასილ ბარნოვის დიდი ისტორიული
რომანი „ტრფობა წამებული“ რომანი

### გაზეთის ფასი:
წლით—150 მან., ნახევარი წლით—75 მან., სამი თვით—40 მან., ერთი თვით (მხოლოდ თბილისში)—15 მან.

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს, მიეცემა წლის ბოლომდე
გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამის მისამართი: თბილისი „საქართველო“. ტელეფონი—15—73. კონტორა ღიაა დილით 9—3 ს.

## მთავრობის მიმართვა მაჰმ. ქართველებისადმი

ის მოწოდება, რომლითაც რესპუბლიკის მთავრობამ სამაჰმადიანო საქართველოს მიმართა, პირველ ხარისხოვანი სახელმწიფოებრივი აქტია. ამ მოწოდებაში „თანახმათ მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს, რომ სამუსულმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას. ბოლოს საქართველოს მთავრობა რწმენას გამოსთქვამს, რომ „ქართველი მუსულმანები გაჰყვებიან თავიანთ რჩეულ მეთაურთ, რომელნიც საბოლოოდ დარწმუნებული არიან, რომ მხოლოდ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირება იხსნის სამუსულმანო საქართველოს და მის სრულ თავისუფლებას უზრუნველჰყოფს“.

არის რამდენიმე მომენტი, რომელიც მტკიცე საფუძველს აძლევს მთავრობის მიერ გამოთქმულ რწმენას. ოსმალეთის ოკუპაციამ სამაჰმადიანო საქართველოში სწორეთ იმის საწინააღმდეგო შედეგს მიაღწია, რასაც პანთურქისტები ელოდნენ. ოსმალო გენერლებმა და ჯარისკაცებმა ქართველ მაჰმადიანს მისცეს ჭეშმარიტი პატრიოტიზმის საგნობრივი გაკვეთილი, როგორიც არ შეეძლო მიეცა არც ერთი ქართველი ნაციონალისტის პროპაგანდას. ორიოდე თვის განმავლობაში სრული ფსიხოლოგიური გარდატეხა მოხდა. და იგივე აჭარლები და ახალციხელები, რომელთაც ამ ერთი წლის წინათ მტრულად გამოაცილეს დამარცხებული და უკანმომავალი ქართველი ჯარი, დღეს თავიანთ თავს ინსტიქტიურად „დიდი საქართველოს“ იდეის მებრძოლეებათ სთვლიან.

ამ კეთილისმყოფელ სულიერ ცვლილებას ხელი შეუწყო არა მარტო საოკუპაციო ოსმალო ჯარის ყოფაქცევამ და შემდეგ თვით ოტტომანური იმპერიის დაშლამ, არამედ აგრეთვე არარატის რესპუბლიკის დაარსებამაც. სომხეთმა პოლიტიკურად გასთიშა თურქული რასსა, რომელიც გაერთიანებას ლამობდა: ადერბეიჯანი დაშორდა არა მარტო ოსმალეთს, არამედ სამაჰმადიანო საქართველოსაც, რომელზედაც ბოლო დრომდე ბაქოელი და განჯელი ემისარები ერთგვარ ამაღლებელ გავლენას ახდენდნენ.

მესამე მომენტი, რომელიც ხელს უწყობს აჭარელი და ახალციხელი გლეხის ორიენტაციის შეცვლას, უეჭველად მიწის საკითხია. როგორი აზ/ ისაც არ უნდა ვიყოთ აგრარული რეფორმის დეტალებზე, არ შეიძლება ამის უარყოფა, რომ საერთოდ ის ქართველ ერს უდიდეს ეკონომიურ და პოლიტიკურ წარმატებას უქადის. საქრისტიანო საქართველოში ეს რეფორმა თან და თან ჰქმნის შეძლებულ გლეხობას, რომელიც საუკეთესო დამცველია ეროვნული დამოუკიდებლობისა. ამ ახალი ქართული სოფლის პატრონის უჯიათმა ძალამ თავი იჩინა კიდეც სოჭასა, შულავერსა და ეკატერინოფელდთან. კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ აგრარული რეფორმა უდიდეს შემომკრებ ფაქტორად გადაიქცა: შავი ზღვის სანაპიროებს რუსებმა ქედი შეაქციეს ეკატერინოდარს, მაჰმადიანი ქართველები აღარ იცქირებიან სტამბოლისაკენ, რადგან თბილისიდან დარბევის მაგიერ ეკონომიურ აღორძინებას ელიან.

აღარას ვიტყვით იმ პოლიტიკურ დაპირებაზე, რომელიც მიმართვაშია აღნიშნული. ჩვენი რელიგიური შეწყნარება თავის თავად იგულისხმება: ამაში ახლა არც მაჰმადიან ქართველებს უნდა ჰქონდეთ ეჭვი. თავის თავად იგულისხმება ისიც, რომ დემოკრატიული საქართველოს მთავრობა, როგორი შემადგენლობისაც არ უნდა იყოს, ყოველთვის მოკრძალებით მოეპყრობა მაჰმადიანი ქართველობის ზნე-ჩვეულებებს. ხოლო რა სახეს მიიღებს აღთქმული ავტონომია. ეს უწინარეს ყოვლისა, თვით სამაჰმადიანო საქართველოს ნებისყოფაზეა დამოკიდებული.

## პრესსა
### რუსეთის ეროვნული საბჭო

ამ უკანასკნელ დროს, როცა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში რიზისი იდგა, ბევრი ავანტიურისტები გამოვიდენ სოროებიდან და გადაწყვიტეს მოქმედება, იმ იმედით, რომ ხელის შემშლელი არავინ ეგულებოდათ. სომხებმა ომი გამოუცხადა საქართველოს მოულოდნელად და სხვისი იმედით, სომხებს მიჰყვნენ რუსებიც. ზოგი გამყიდველი რუსის ოფიცრები და მოხელე არარატის რესპუბლიკის ჯარში ჩაეწერენ და ვინც ვერ მოასწრო და საქართველოში დარჩა, შინაურ ფრონტზე განაგრძობდენ რესპუბლიკის ზიანს.

არშაკ ჯამალიანის დიპლომატიურ მოღვაწეობის პრეცედენტით სარგებლობს რუსთა ეროვნული საბჭო და მისმა კადნიერებამ საზღვარს გადააცილა. პრესაში აღნიშნული იყო ის უდიდესი მემორანდუმი, რომლითაც ამ ეროვნულმა საბჭომ მიმართა საქართველოს მთავრობას მოთხოვნილებებით. თავის დროზე ამის შესაფერი დაფასება მიიღო კიდეც. და მთელი ქართული პრესა განურჩევლად მიმართულებისა ითხოვდა რუსთა ეროვნულ საბჭოს გარეკას, რასაც ჩვენ მთავრობაზე შესაფერი გავლენა უნდა ქონოდა.

თბილისში უკანასკნელ დროს ძალიან გამრავლდენ რუსეთის რეაქციონური ელემენტები უფრო „მოხალისეთა არმიის“ ლტოლვილები და საზოგადო დაწესებულებებშიც არ ერიდებიან გამოსვლას, რასაც ბევრჯერ ჰქონდა ადგილი თბილისში.

ეხლა, ამ რეაქციონერებს აშკარა დამცველიც გაუჩდა პრესაში. „თბილისის ლისტოკში“ დაბეჭდილია მეთაური, რომელიც იცავს რუსეთის ეროვნულ საბჭოს მოქმედებასა და კიცხავს ქართულ პრესას საბჭოს გაუქმების მოთხოვნისთვის. ჩვენ არ ვეხებით გაზეთის არგუმენტაციას, ის ძალიან უბრალოა, მაგრამ ამ უბრალოებშიც არის კადნიერება.

გაზეთი ემყარება იმ ფაქტს, რომ საბჭოს ბევრი რუსი მიმართავს რჩევისათვის და აქედან გამოჰყავს საბჭოს დემოკრატობა და მისი აუცილებლობა, თან ორმაგ პროვოკაციას ეწევა, პირველის ყუბანის მთავრობასთან, რომლის წარმომადგენელი ვითომ არის დღევანდელი საბჭო, მეორე პროვოკაციაა ე. გეგეჭკორის ინტერნაციონალობაზე თამაში, რომ ის არ აჰყვეს შოვინისტების ხმას. „ტ. ლისტოკმა“ უნდა იცოდეს, რომ საქართველოში ორი აზრი არ არის ამ საბჭოს შესახებ და ვერავინ გაბედავს, ამას ანგარიში არ გაუწიოს. გაზეთის სიხარული, რომ საქართველოს მთავრობა საკითხს არ უყურებს ისე, როგორც პრესა, შემცდარი უნდა იყოს. მთავრობა ამას ვერ იზამს, თუნდაც ამ მთავრობაში ე. გეგეჭკორიც იყოს.

## სამაჰმადიანო საქართველო
### მემორანდუმები

ქობულეთის, გონიის, ქვემო აჭარის, ართვინის ართაჯანის და შავშეთ-იმერხევის უბნებში კამისრებად რუსების დანიშვნის შესახებ გავრცელებულმა ამბებმა ქართველ მაჰმადიანებში დიდი მწუხარება გამოიწვია. ამის შესახებ ინგლისის ღენერალ-გუბერნატორს სხვა და სხვა მემორანდუმები სახივრები კიდეც მოართვეს. მოგვყავს აქ ქობულეთის მცხოვრებთა ძიერ მომრთმეველი მემორანდუმი.

### ბატონ ბრიტანიის წარმომადგენელს

ჩვენ კინტრიშის ნაწილის მცხოვრებლებმა გავიგეთ, რომ თქვენ მიერ დანიშნულ საბჭოს გადაწყვეტა ჩვენში გამოგზავნა ადმინისტრატორად რუსის მოხელეები ფონდერ გრუშენი და ორი მისი თანაშემწე. რადგან ჩვენ საერთო ყრილობაზე უკვე ავირჩიოთ ჩვენი საქმეების მოსაწყობად ადგილობრივი მცხოვრები მცოდნე ჩვენი ხალხის და ცხოვრების, რადგან ჩვენ იმედი გვაქვს სრული მშვიდობიანობა და წესიერება დავიცვათ ჩვენი ძალღონით და რადგან შეიძლება თქვენი საბჭოს მიერ არჩეულ პირის გაგზავნას მოჰყვეს მეტად მძიმე და სამწუხარო შედეგი, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ უყურადღებოდ არ დაგვტოვოთ და აგვაცდინოთ და გაგვაცნოთ და აგვაცდინოთ მოსალოდნელი განსაცდელი.

კინტრიშის ნაწილის წარმომადგენელნი.

### სამაჰმადიანო საქართველოს წარმომადგენელთა კრების დადგენილება

ჩვენ, სამაჰმადიანო საქართველოს სხვა და სხვა კუთხის წარმომადგენლებმა შეკრებილნი ქალაქ ბათომში 3 იანვარს დავადგინეთ:

გულითად სალამს მივუძღვნით დიდებულ ბრიტანიის წარმომადგენელთ ჩვენ სამშობლოში მოსულთ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თავისუფლების და სამართლიანობის მუდმივი დარაჯის კულტუროსან ინგლისელთა მთავრობის წარმომადგენელნი არ შელახავს ჩვენ უცილებელ ბუნებრივ უფლებას და ჩვენ შინაგან საქმეების გამგებლობაში უცხო ხალხის ბატონობას თავზე არ მოგვახვევს. ამიტომაც ჩვენ განცვიფრებული დავრჩით, როცა გავიგეთ, რომ ადგილობრივ საქმის გამგებლობა ჩაბარდა ისეთ საბჭოს, სადაც არის მხოლოდ ერთი მაჰმადიანი ქართველი.

ისიც კაცი სრულიად უმეცარი და ხალხისაგან ყოველივე პატივისცემას და ნდობას მოკლებული დეპუტატები. და ამავე დროს ამ საბჭოს ხელმძღვანელობა არის რუსის ხელში, რომელიც ჩვენი ხალხისთვის სრულიად უცხოა, ამასთანავე ჩვენ გვესმის, რომ განზრახულია ბევრს ადგილას მოხელეებათ მოჰყვეულ იქნან ძველი ცხოვრების დროს ჩვენი მტანჯველნი დრმად დარწმუნებულნი, რომ უმაღლეს ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელთ სრულიად აზრად არ აქვთ შეგვავიწროვონ და მონობის უღელში გაგვაბან, მხოლოდ აქ მოხდა რაღაც გაუგებრობა, კრება ერთხმად ადგენს მიმართოს ხსენებულ მთავრობის წარმომადგენელს, რათა აღდგენილ იქნას სამაჰმადიანო საქართველოს მცხოვრებების კანონიერი უფლებანი და საბჭო შედგენილ იქმნეს ადგილობრივ მაჰმადიან ქართველთა უმრავლესობისაგან. ასეთი საშუალება სრულიად უზრუნველჰყოფს მშვიდობიან ცხოვრების განმტკიცებას.

### დ. ქობულეთი

ქობულეთის კომისრად ნაცვლად რუსისა, რომლის დანიშვნაზე ქობულეთლებმა პროტესტი განაცხადეს, აირჩიეს ქართ. მაჰმადიანი ირემაძე.

# უკანასკნელი ცნობები.

**საქართველო-სომხეთის სამშვიდობო კონფერენციის უკანასკნელი სხდომა დღეს შესდგება.**

—

**ბერლინიდან მოსულ ცნობით ბერლინში მთავრობის მდგომარეობა თანდათან მტკიცდება. ბერლინში მოხალისეთა დიდი რაზმები შემოდის.**

—

**ბერლინში შეიპყრეს სოც.-დემ. ლიდერები ლედებური და მეერი.**

—

**ბოლშევიკების ამბოხება ბერლინში ჩააქრეს.**

—

**ჰინდენბურგმა ამერიკულ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ გერმანიის ჯარებმა რეინის აღმოსავლეთით უკან დაიხიეს სრულ წესრიგით და ხიჩქარით.**

—

**შეთანხმების სახელმწიფოებმა უარჰყვეს გერმანიის ნაპირ[illegible]თან ნაოსნობის განახლების შე[illegible]კომლობა.**

ოსმალების წასვლის შემდეგ ცხოვრება განცხოველდა. იმართება კრებებიც. ქართული გაზეთები ჯერ არ მოდის.

## ჩხრეკვა დაპატიმრების გამო

**გენერალ-გუბერნატორის შ. მაღლაკელიძის განმარტება.**

10 იანვარს პარლამენტის სხდომაზე შეტანილი შეკითხვის გამო საჭიროთ ვსთვლი ყველას საყურადღებოთ განვაცხადო:

1) დატუსაღება ხდებოდა არა ყველას მიერ, არამედ მხოლოდ საგანგებო რაზმის, რომელსაც თანა ჰქონდა ამისთვის სათანადო ორდერი, ხოლო მილიცია და სხვა სამხედრო ნაწილები ამ რაზმს უწევდნენ მხოლოდ დახმარებას.

2) დატუსაღება ხდებოდა მხოლოდ ჩემი განკარგულებით და ატუსაღებდნენ თანახმათ ჩემი სავალდებულო დადგენილებათა 18—45 წლის ასაკისას—მეომარ სახელმწიფოს—სომხეთის ქვეშევრდომთ, მტრის ჯარებით დაკავებულ ადგილების მცხოვრებთ და აგრეთვე ჩვენი მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებაში შენიშნულ პირთ.

3) დაპატიმრებულთა ვინაობას არკვევდა და თანახმათ ზემოხსენებულისა სხვადასხვა კატეგორიებათ ანაწილებდა რვა კაცისაგან შემდგარი საგანგებო კომისია ი. ს. ასათიანის თავმჯდომარეობით.

4) აღნიშნული კომისია, რომელიც განსაკუთრებით 5—6 იანვარს განუწყვეტლივ მუშაობდა სამხედრო ტყვეების განმანაწილებელ პუნქტზე, ანთავისუფლებდა ყველას, ვინც კი სავალდებულო დადგენილებებში აღნიშნულს პირებს არ შეეფერებოდა და შემთხვევითი გაუგებრობით იყვნენ დაპატიმრებულნი, სახელდობრ ა) ყველას განურჩევლათ ქვეშევრდომობისა ვინც კი 18—45 წლისანი არ იყვნენ, ბ) ვინც საქართველოს, სპარსეთ ოსმალეთის, ამერიკის და სხვა არსებული სახელმწიფოების ქვეშევრდომნი აღმოჩნდნენ, გარდა არარატის რესპუბლიკისა, გ) ყველა ავადმყოფთა და სნეულთ განურჩევლათ ქვეშევრდომობისა და წლოვანებისა, რომელთაც ამოწმებდა კომისიისავე წევრი—ექიმი.

5) პუნქტზე მოყვანილ დაპატიმრებულთ თანახმათ ჩემი განკარგულებისა ეძლეოდათ საკმაო პური, თითოს დღიურათ გირვანქა ნახევარი და ხშირათ ორი გირვანქა. განმანაწილებელ პუნქტზე სამხედრო ტყვეები ერთ დღეზე მეტი იშვიათად რჩებოდა გაუგზავნელი დანიშნულებისამებრ და გასაგზავნ პირთ აქა და საგზაოთ ეძლეოდათ სამი გირვანქა პური თითოს.

6) ბინა, სადაც დაპატიმრებული სომხები იყვნენ მოთავსებული, წარმოადგენს სემინარიის ზედა სართულის დერეფანს (კორიდორს), რომლის ერთს ბოლოში მოთავსებულია, რომელიც თვით ამ დერეფნის გაგრძელებას წარმოადგენს და ზედმეტია მაღალი ტრიბუნიდან დაბალი ღირსების განცხადების უარყოფა, ვითომდა პატიმართ ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებაც კი არ ჰქონდათო.

ყოველივე ზემო აღნიშნულის დამამტკიცებელი საბუთები შეუძლიათ მოითხოვონ ყოველ დროს ამის მსურველ ყოველ მოქალაქესა და ყოველ სომეხს, როგორც სამხედრო ტყვეების განმანაწილებელ პუნქტის, აგრეთვე ჩემს კანცელარიაში.

## ინგლისელები საქართველოს რკინის გზაზე

გაზეთ „ერთობას“ სადგ. სუფსიდან ცხრა იანვარს საკუთარი კორესპონდენტი შემდეგს ატყობინებს:

„წუხელ, საღამოს 5 საათზე, სუფსაში ამოვიდა ბათომიდან მატარებელი ინდოელთა ჯარით.

სუფსის რკინის გზის ხიდთან შეჩერდა ეს მატარებელი და ჯარის უფროსმა მოსთხოვა ჩვენს ჯარის კაცებს: ხიდი უნდა გავზომოთ, ავწეროთ, ჩავიბაროთ და ჩვენი მცველები დავაყენოთო. ჯარისკაცებმა და შემთხვევით აქ მყოფმა აფიცერმა შ. ქლენტმა აუხსნეს ინგლისელ აფიცერს, რომ ამის ნებას ვერ მივცემთ ვერას შემთხვევაში, სანამ სათანადო ბრძანებას არ მივიღებთო.

ამ საქმეში ჩაერია ამ ინგლისის მატარებელში „შემთხვევით“ მყოფი პოლკოვნიკი დენისენკო, ტრაპიზონის გზის მკეთებელი სამხედრო ინჟენერი, რომელსაც ბათომელები კარგად იცნობენ, როგორც ჭეშმარიტ მემარჯვენეს და „საქმის კაცს“. მან დაუწყო ჩვენს ჯარისკაცებს ტუქსვა და მუქარა და ძალად მოინდომა ხიდის გაზომვა, მაგრამ ჯარისკაცებმა სახუმაროდ აღარ გახადეს საქმე, დენისენკოს გადაჰკრით მოსთხოვეს გზიდან ჩამოცლა, კინაღამ ხიშტებზე მიდგა საქმე, რომ ინგლისელი მაიორის გონიერება არ წამოგვშველებოდა, რომელმაც შეაჩერა ეს შეტაკება და დასთანხმდა, მოეცადა ჩვენი დეპეშის პასუხისთვის.

მატარებელი სადგურში გააჩერეს, პენჯაბელთა ერთი როტა ჩამოიყვანეს და ხიდის ყურში დასტოვეს ბანაკათ. ღამით მე ავედი აფიცერთა ვაგონში ორი ადგილობრივი მცხოვრების თანხლებით და ზოგიერთი შეკითხვები მოვახსენე ჯარის უფროსს. ვლაპარაკობდით ფრანგულად; ვიღაც მეორე რუსი პოდპოლკოვნიკის ჩინის პატრონი უაზროდ მოგვშტერებოდა, ხანდახან სახეზე გაჯავრებას მოვკრავდი თვალი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭიროებამ მოითხოვა და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, ნეიტრალიტეტი, რუსის ჯარის შინ გაქცევა და თათრებთან ჩვენი ომი ვახსენე. როცა მაიორს შევეკითხე თუ სანამდე უნდა დაიჭიროს ინგლისის ჯარმა მეთქი, მან მიპასუხა: მგონია, თფილისამდეო“ აქ კი ეტყობა ვერარ მოითმინანა ამ რუსის პოდპოლკოვნიკმა და ფრანგულად ჩაგვირთო სიტყვა: ბაქომდეო. თქვენ ვინ ბრძანდებით მეთქი, შევეკითხე. მე „შემთხვევითი“ მგზავრი ვარო, მომიგო პასუხად.

ეს პოლკოვნიკი დენისენკო, ეს უცნობი რუსის პოლკოვნიკი რა „შემთხვევით“ მიყვებიან აქ ინგლისის სამხედრო მატარებელს, რა „შემთხვევით“ აძლევენ ჩვენს ჯარისკაცებს, წინადადებას ტუქსავენ, ლანძღავენ მათ და იწვევენ პროვოკაციულ ინციდენტებს? ვინ დაავალა ეს მათ?

დღეს გათენებისას მოვიდა დეპეშების პასუხი, მატარებელი სამტრედიისაკენ წავიდა, სუფსაში კი ნახევარი როტა პენჯაბელი (89 პოლკისა) დარჩა.

## საპარლამენტო ქრონიკა.

**საფინანსო კომისიაში.**

საფინანსო კომისიამ 11 იანვრის სხდომაზე განიხილა:

1) მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო სამეურნეო ნაწილის ხარჯთაღრიცხვა: აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კომისიამ დაადგინა: შტატში და ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქნეს და ჯამაგირები ითვლებოდეს 1918 წლ. 1 ივლისიდან.

—

2) შრომის მინისტრის ამხანაგის მოხსენება ჯარში გაწვეულ მუშათა და მოსამსახურეთა ადგილებისა და ჯამაგირების შენახვის შესახებ.

კომისიამ დაადგინა: კანონ-პროექტი მიღებულ იქნეს იმ ცვლილებით, რომელიც შეტანილია შიგ და ამ სახით გადაეცეს შრომის კომისიას.

3) კანონ-პროექტი სპირტის გამოხდის წესებისა. კომისიამ მიიღო მცირე ოდენის ცვლილებით და სრულიად ამოშალა უკანასკნელი მუხლი წესდებისა.

## ქრონიკა

სომეხ-ქართველთა სამშვიდობო კონფერენციის უკანასკნელი სხდომა დღეს შესდგება.

◆ **ვაჭრობა-მრეწველობისთვის.** ამ დღეებში ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს წარუდგა ინჟ. ბროვენსკი და ქონდათ ხანგრძლივი საუბარი. საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინების შესახებ. ინჟინერმა ურჩია მინისტრ, მიჰმართოს ერთ რომელიმე გაზეთს თხოვნით, დაუთმონ ცალკე განყოფილება სადაც მცოდნე პირები მოათავსებენ ქიმიკურ და ტეხნიკურ ხასიათის წერილებს. აგრეთვე წერილებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება საქართველოში მოგვარდეს საპნისა, ტყავეულობის, ქსოვილ და სხ. რაიმეს წარმოება. ურჩია აგრეთვე გამოსცენ ამ მიზნით სპეციალური ორგანო.

◆ **ინგლისურ-ფრანგული კლუბი.** არლუთინსკი-დოლგორუკოვის გიმნაზიასთან არსდება ინგლისურ-ფრანგული კლუბი, სადაც ახალგაზრდებს ინგლისურ-ფრანგულ ენებს შეასწავლიან.

◆ **რუსთა ეროვნულ საბჭოს ქვეშევრდომობის მოწმობები.** შინაგან საქმეთა მინისტრი რუსთა ეროვნულ-საბჭოს საჩივარზე, რომ მისი მოწმობებით აღჭურვილ პირებს მილიციონერები აპატიმრებენ, აცნობა გარეშე საქმეთა მინისტრს, გამოუცხადოს რუსთა ეროვნულ საბჭოს, რომ ის აღჭურვილია მხოლოდ კულტურულ-ეკონომიურ უფლებებით და არავითარი უფლება არა აქვს, ქვეშევრდომობის მოწმობები გასცეს.

◆ **საქართველოს სამხედრო გზის დასაცავად.** საქართველოს სამხედრო გზის დასაცავად პოლკოვნ. სარესელმა შუამდგომლობა აღძრა, რათა 12 ივლისის კანონით გაღებული 284,500 მან. კრედიტის დანარჩენი 277,528 მ. 50 კ. პირადათ მის განკარგულებაში იქნეს გადადებული, ვინაიდან საქარ. სამხ. გზა მეტად დიდ მნიშვნელოვანია და საჭიროა მისი დარაჯობის უკედ მოწყობა.

◆ **გემების გადაცემა.** გზათა მინისტრისათვის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ სასწრაფო მიწერილობა გაუგზავნა ფოთის-ნავთსადგურის უფროსს: თანახმად მთავრობის განკარგულებისა რათა ფოთის ნავთ-სადგურში მყოფი გემები გადაცემულ იქნეს გზათა სამინისტროს განკარგულებაში. გზათა მინისტრთან შეთანხმებით წინადადებებს გაძლევთ დაუყონებლივ გადასცეთ ხსენებულ სამინისტროს კანკარგულებაში ყველა გემები და ნავები კომანდებთან ერთად და დასტოვოთ ნავთ-სადგურის უწყებაში მხოლოდ მარკასი „მუშა“ 70 ტონის წყალწყვისა, ერთი გემი საზღვაო სასწავლებლისთვისა და ნავთსადგურისათვის საჭირო ნავებით.

◆ **ყოფილ კადეტთა კორპუსის აგარაკი.** სახალხო განათლების ბინის ტონა თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაფერი განკარგულება გასცეს რათა ყოფილი კადეტთა კორპუსის აგარაკი მანგლისში რომელიც ახლა განათლების სამინისტროს განკარგულებაში დაცულ იქნეს. მცხოვრები დარბევიდან.

◆ **ლტოლვილთათვის.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ფინანსთა მინისტრსა და სახელმწიფო კონტროლს დაუგზავნა მოხსენების ასლი ლტოლვილთა ხარჯების დასაფარავად 500000 მან. გადადების შესაძლებ. გასაცნობლად. და საბოლოვო დასკვნისათვის.

◆ **მეცხვარეებზე თავდასხმა.** სიღნაღიდან შირაქის რაიონის კომისარი, გუბ კომისარს აცნობებს, რომ ყაზახის მაზრის მცხოვრებნი გადადიან სიღნაღის მაზრაში, თავს ესხმიან მეცხვარეებს და ცხვრებს ართმევენ. კომისარი სთხოვს გააფრთხილოს განჯის გუბერნატორი.

◆ **მკვლელობა.** 15 იანვარს ღამე ოლღისა და წყნეთის ქუჩების ჯვარედინზე ლ. არუტინოვმა რევოლვერით მოჰკლა გ. თემურაზოვი. მკვლელი დაიჭირეს.

◆ **თავდასხმა.** 14 იანვარს ა. სინუმიანის ბინაზე, ბოტანიკის ქუჩა № 9. შეიჭრენ 4 შეიარაღებული პირნი და სიკვდილის მუქარით წაიღეს სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები.

— ამავე დღეს იუველირის შესახვევში № 12 გაძარცვეს მ. ზგდასაროვი. წაიღეს 4,600 მ. ფულად და სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები 2,100 მანეთისა.

◆ **კრება.** კვირას, 19 იანვარს, ვაჟთა პირველი გიმნაზიის შენობაში დანიშნულია თბილისის საშუალო სასწავლებელთა ქართველი მასწავლებლების საზოგადო კრება. კრება დაიწყება დილის 11 საათზე. ყველა მასწავლებელ სთხოვენ უეჭველად დაესწრონ.

◆ **გაზ. „ნაშა ზნამიას“ კონფისკაცია.** თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით კონფისკაცია უყვეს „ნაშა ზნამიას“ ყველა იმ ნომრებს, რომელნიც იბეჭდებოდა სტამბა „ეპოხაში“. სტამბის პატრონმა კარაპეტიანმა განაცხადა, რომ ის გაზეთს აზატიანის შეკვეთით ბეჭდავდა. კარაპეტიანცი და აზატიანი პასუხის გებაში მისცეს.

◆ **ინჟ. მაჩაბელი.** ინჟინერი მაჩაბელი სპეციალურ დავალებებით ამერიკაში გაემგზავრა.

◆ **პოლონელთა ქარხნები საქართველოში.** ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს წარუდგა კავკასიაში პოლონეთის წარმომადგენელი ბ. ოსტროვსკი, რომელმაც თხოვნით მიმართა მინისტრს, რათა უკრაინიდან პოლონელთა ქარხნები საქართველოში გადმოიტანოს.

◆ **ტყვე ოფიცრების სია.** გუმბრიში (ალექსანდროპოლი) ტყვედ არიან შემდეგი ქართველი აფიცრები პოდ. რამანიშვილი, შტაბს კაპ. კონსტანტინეშვილი, ნიკოლაშვილი, ფუტურიძე, გოგიბერიძე, პორ. გუდკოვი, გრომოვი, პოდპ. ბაამალუა, ვაჩნაძე, ირემაძე, რევია (დაჭრილია), თუმანიშვილი, პორუჩ. ქარცივაძე, ხმალაძე, რცხილაძე, პოდპ. სამარყანდოვი, ჯავახიშვილი, კალანდაძე, გურული, ლანდია, მელიქიშვილი, კორ. გუგუშვილი, თავისუფალი ჯ.-კ. თუმანიშვილი, პორ. იმნაძე, ჩიქოვანი, ყველანი კარგად არიან.

## პარტიული ცხოვრება

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებს.**

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კონფერენცია დასრულდა. კონფერენციამ შეიმუშავა საკანდიდატო სია დამფუძნებელ კრებისათვის, რომელიც წარადგინა კიდეც რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, სია ამ დღეებში გამოქვეყნდება. მთავარი კომიტეტი ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს ადგილობრივ საარჩევნო მუშაობა სასწრაფოდ დაიწყონ ყოველ პ ა რ ტ ი უ ლ ორგანიზაციას უნდა ჰყავდეს ყოველ რაიონში, სადაც საარჩევნო ყუთი დაიდგმება რწმუნებულები, რომელნიც დაიცავენ პარტიის ინტერესებს კენჭის ყრის დროს და მანამდე კი ზომებს მიიღებენ, რათა ყველა ამომრჩეველმა თავის დროზე მიიღოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბიულეტენები. კანონის ძალით საარჩევნო კომისიებს დავალებული აქვთ ყოველს ამომრჩეველს ჩააბარონ ყველა საკანდიდატო სიები.

სადაც პარტიული ორგანიზაციები არ არსებობს; ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის თანამგრძნობთ ევალებათ დაუყოვნებლივ შეჯგუფდენ და შეუდგენ ადგილობრივ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიის გავრცელებას. პარტიის ყველა თანამოაზრეს ევალება განუმარტონ ყველას დამფუძნებელი კრებისთვის არჩევნების მნიშვნელობა, მომქმედი პოლიტიკურ პარტიების მიმართულება.

— **თბილისის ცენტრალურ და სარაიონო კომიტეტის კრება.** დღეს საღამოს 7 საათზე მთავარ კომიტეტის ბინაზე შესდგება თბილისის საქალაქო და რაიონების კომიტეტების კრება. კრების საგანია: 1) მოხსენება მთავარი კომიტეტისა პარტიულ კონფერენციის შესახებ, 2) დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის მზადება.

— **ეროვნულ-დემორტიულ პარტიის ახალგაზრდების კრება.** დღეს საღამოს 7 საათზე მთავარ კომიტეტის ბინაზე შესდგება პარტიულ ახალგაზრდების საერთო კრება. წაკითხული იქნება მოხსენება პარტიულ კონფერენციის შესახებ. განხილული იქნება აგრეთვე საკითხი შესახებ არჩევნებისა დამფუძნებელ კრებისთვის.

— ყველას საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენი მთავარი კომიტეტის ბეჭედი დაიკარგა და განსხვავებისთვის ჩვენი ახალი ბეჭედი მოგრძო ფორმატისა იქნება.

— ჩვენი პარტიის მცირე კონფერენციამ მოისმინა დამოუკიდებელ ნაც.-დემოკრატების წერილობითი განცხადება იმის შესახებ, შეიძლება, თუ არა, რომ დამფუძნებელ კრების საარჩევნო სია შეერთებით შევადგინოთო? კონფერენციამ ერთხმად უარჰყო მათი განცხადება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროში დანიშნულია ერ.-დემოკრატ ახალგაზდების საერთო კრება. დასწრება აუცილებლად სავალდებულოა.

## მხატვრული ქრონიკა

◆ **„ჟურნალი ფენიქსი“.** გამოვიდა და იყიდება მხატვრული ჟურნალი „ფენიქსი“, რომელსაც სცემენ რუსის პოეტები თბილისში. ჟურნალში დაბეჭდილია წერილები: ა. კრუჩიონისის ილია ზდანევიჩის, იური დეგენის და სხვათა. ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე რეპროდუქციები. მხატვრის ლადო გუდიაშვილის სურათები: „ედემის ბაღი“, „ცხენები“ და ქართული პოეტები: გრიგოლ რობაქიძე, ლელი ჯაფარიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე.

◆ **„პოეტების ცეხი „კოლჩუმა“.** ცეხში მოხსენება წაიკითხა პეტროგრადში პოეტმა სერგი რაფალოვიჩმა „ბოლშევიზმი და ფუტურიზმი“. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: კრუჩიონინმა, პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, ბ. ლომინაძემ, ილია ზდანოვიჩის მოხსენებას ბევრი დაესწრო.

◆ **„კურანტები“** მოკლე ხანში თბილისში გამოვა სრული ჟურნალი „კურანტები“, რომელშიც მონაწილეობენ: ა. კრუჩინისი, ტიციან ტაბიძე იური დეგენი, ი. ერენბურგი, ტატიანა ვეჩაკა. ი. ტერენტიევი და სხ.

## პროვინციის ცხოვრება

### ქ. გორი

ხილის ფასმა დიდათ აიწია. თივა სულ არ არის. ბზე ძვირია (ფუთი 8—10 მან. ხორბალი 90—100 მან. სიმინდი 50—60 მან. ფუთი. ძროხის ხორცი გირ. 2—3 მან. ცხვრის ხორცი 3 მან. ადგილობრივი ყველი 7—10 მან.

—

### მარელისი

**სად. მარელისი.** 10 იანვარს სამტრედიიდან მომავალ მატარებელს სადგურ მარელისთან ცეცხლი გაუჩნდა. მატარებელი ვერ შეაჩერეს და მოსალოდნელი იყო დიდი უბედურება, როგორმე რომ არ გაეჩერებინათ.

—

### ქ უ თ ა ი ს ი

ქუთაისს არავითარი გაცხოველება არ ეტყობა. ყველა ინტელიგენტი თბილისისკენ მიიშურება. ზოგიერთი დაწესებულებებიც თბილისში გადადიან (მაგ. შავი ქვის სამრეწველო საბჭო).

—

**ე პ ი დ ე მ ი ა**

ქალაქში ბოლო დროს ეპიდემიური ავადმყოფობა ვრცელდება.

—

**ვაჭრობა-მრეწველობის თათბირი**

ამ დღეებში ქუთაისში ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს მოელიან. გუბერნიის კომისარმა დეპეშით აცნობა გუბერნიის ყველა ქალაქებს, რომ გამოგზავნონ ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენელნი, რომელიც დაესწრებიან მინისტრთან ერთად თათბირს, სადაც სხვა და სხვა საყურადღებო საკითხებში გაირჩევა.

—

### ფ ო თ ი

ქალაქში მძვინვარებს სახადი და სხვა გადამდები სენი. საჭიროა სწრაფი და ენერგიული ზომების მიღება.

—

დაარსდა და მოქმედება დაიწყო ქალაქის შრომის ბირჟამ, რომელიც შესდგება 11 კაცისაგან ერთი (თავმჯდომარე) ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელი, 5 მრეწველთა და 5 მუშათა წარმომადგენლებისაგან.

—

ფოთი. 15 იანვარი, კვირაზე მეტია რაც ფოთში გემები არ მოსულა ნავთსადგურებში „სანდლერის“ გარდა სდგას ინგლისელთა ნაღმოსანი „№ 12“ და გემი „ვარნა“, რომლითაც გერმანელების უკანასკნელი ეშელონი მიემგზავრება. დღემდის გერმანელები ვერ გასულან გზის უქონლობის გამო. ისინი აპირებენ ბოსფორით და ტრიესტით წასვლას, თუ მოკავშირენი დათანხმდენ.

—

### ოზურგეთი

ოზურგეთში მძვინვარებს „ისპანკა“ რომელიც თითქოს მისუსტდა, მაგრამ სამაგიეროთ გაჩნდა წინწკლებიანი სახადი და ყვავილი. აღმოსავლეთ ნაწილში გაჩნდა საქონლის ჭირი. საჭიროა ეპიდემიისაგან საბრძოლველათ სამაზრო ერობას მიეცეს ფინანსიური დახმარე, რომ მან მისი ფხიზელი მუშაობა კიდევ უფრო ენერგიულათ აწარმოვოს. იანვარის პირველ რიცხვიდა ერობა უკვე შეუდგება სკოლების ჩაბარებას.

—

რადგან 21 და 23 იანვარს ბათუმში უნდა მოხდეს საარჩევნო აღწერა და რომ ლტოლვილები არ დარჩნენ საარჩევნო უფლების გარეშე ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობამ მოახდინა სასწრაფო განკარგულება მთელს მაზრაში გაეშურონ ლტოლვილები ბათუმისკენ. საჭიროა მიღებულ იქნას ზომა ვისგანაც [illegible] ლტოლვილები უფლების [illegible], ბათუმში კი მოუწყონ მათ ამ პირველ ხანებში სასადილო.

—

## ადერბეიჯანი

### განჯა

განჯაში ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. სიმშვიდე ჯერ არ დარღვეულა. ამ ჟამად აკეთებენ შოსე გზას რკინის გზის სადგურისკენ.

ადგილობრივ ბაზრის მაზანდა ასეთია: პური გირვანქა ღირს 3 მ. 50 კ., ცხვრის ხორცი 4 მ., ძროხის ხორცი 3 მან., ვედრა ღვინო 45—50 მან., ყურძენი 3 მ. 50 კ. და სხ.

### ნ უ ხ ა

ოსმალების წასვლის შემდეგ ქალაქში სრული წესიერებაა. ასევეა მაზრაშიც. ნუხაში გავრცელებულია ესპანური სენი, ინფლუენცია და ათასგვარი სახადი. 29 ქრისტეშობისთვეს ნუხაში ჩამოვიდა საგამომძიებლო კომისია, რომელიც გამოარკვევს ოსმალთაგან მოცემულ ზარალს. კომისია მუშაობას კიდეც შეუდგა. ნუხაში ამ დღეებში ელიან ფრანგ-ინგლისელ-ამერიკელთა მისიას. ადერბეიჯანის მთავრობამ ნუხის მაზრაში მობინადრე სომეხ ლტოლვილთათვის გადასდო ათი-ათასი მანეთი. სომეხ-თათართა დამოკიდებულობა კეთილია. არავითარ შუღლს დღეს ადგილი აღარ აქვს.

სიძვირე თანდათან იზრდება და ამისოდ არაფერი ზომები არ არის მიღებული.

**მილის ჩახვლა ბაქოში**

ბაქოში ჩავიდა კავკასიაში მყოფ ინგლისის ჯარების მთავარსარდალი მილნი.

## საქ. სოც.-ფედერალისტთა პარტიაში.

გაზეთ „სახალხო საქმე“-ში მოთავსებულია პარტიის შემდეგი განცხადება:

ფედერალურ საბჭომ იანვრის 13 განიხილა ზოგიერთ წევრის შეუწყნარებელი საქციელი, რომელთაც საბჭოს პირველი სხდომაზედვე იანვრის 12 სხვა წევრებთან ერთხმად სავსებით მოიწონეს მთავარ კომიტეტის წარმოდგენილი გეგმა დამფუძნებელ კრების არჩევნებისა და დებულებანი პლატფორმისა, და რომელთა წაკითხულ მოხსენება არაფრით განსხვავდებოდა მთ. კომიტეტის მოხსენებიდან, რომელთაც მთელი საბჭოს შემადგენლობასთან ერთად მიიღეს და დაამტკიცეს მთ. კომიტეტისვე წარმოდგენილი სისტემა კანდიდატთა სიის შესამუშავებლად, ხოლო როცა არჩეული იქნა სარეკომენდაციო კომისია და ამ კომისიაში არ გავიდნენ მათი დასახელებული პირები, მოითხოვეს წინააღმდეგ პარტიულ წესდების მეათე მუხლისა ფედერ. საბჭოს შემადგენლობის შეცვლა და რაკი თავისი ვერ გაიტანეს, დასტოვეს სხდომის დარბაზი და არ მიიღეს მონაწილეობა არც იმ დღის საღამოს და არც მეორე დღის დილის მუშაობაში; ხოლო საღამოს ულტიმატუმის ხასიათის მოთხოვნა წარმოუდგინეს საბჭოს—თუ ყოველ დასახელებულ ხუთ კანდიდატში ორი ჩვენი ნაჩვენები პირი არ იქნება, ჩვენ აღარ დავბრუნდებით ფედერ. საბჭოშიო. როდესაც საბჭომ უარჰყო ესეთი შეუფერებელი მოთხოვნა, გამოაცხადეს ალ. წერეთლის პირით, რომ ისინი აარსებენ ცალკე პარტიას,—განიხილა ყოველივე ეს ფედერ. საბჭომ და ერთხმად დაადგინა: დაჰგმოს ხსენებული წევრების ყოვლად უსაფუძვლო და უსამართლო მოქმედება და მოუწოდოს ყველა პარტიულ ამხანაგს დაიცვან პარტიის მთლიანობა და სიმტკიცე, რაიც ასე განსაკუთრებით საჭიროა დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს და იმ დიად საპასუხისმგებლო მომენტში, რომელშიაც იმყოფება დღეს ქართველი ხალხი.

1919 წ. იანვრის 13.

## სიკეთე

ცოტა მაქვს, მაგრამ ყოველგან სიკეთე მიუწდომელი.

შოთა.

სიკეთე უმთავრესი სათნოებაა.

შეიძლება იყო ბევრის პატრონი, მაგრამ სიკეთეს კი მოკლებული იყო.

სიკეთე არ გაიზომება დიდის ქონებით, სახელმწიფოს ფართო საზღვრებით, დიდი სიმდიდრით, წყალზე მცურავ უთვალავ ნავებით, ჰაერში მოსრიალე მანქანებით, დამონებულ ერების სიმრავლით.

შეიძლება დიაღაც მორჭმული იყო, მაგრამ სიკეთე კი არ გქონდეს.

ქართველ ერს კარგად გამოუთქვამს: „ყველი და პური, კეთილი გული“.

საქმე სიკეთეა, და საცა ეს არის, შენი მიწვდილი ლუკმით ყოველი გამოძღება, რა გინდ მშიერი იყოს.

პატარა იყო საბერძნეთი, მაგრამ იმ ძველ დროს ბრწყინავდა მსოფლიოში თავის სიკეთით, და ეს სიკეთე ისე დიდი იყო, რომ მის მზიანობამ გამოვლო საუკუნოები, და დღევანდელ კაცობრიობამ ხელის გულზე ერბო-კვერცხი რომ მოიწვას, იმ ძველ ბერძნების ამაგს ვერ გადაიხდის.

მართლაც რომ „ცოტა“ ჰქონდა საბერძნეთს, მაგრამ მაგიერ ეს ცოტაც ყოველგან სიკეთე მიუწდომელი იყო.

დედა-მიწის პირზე არც კი იქნება ადამიანი, რომ საბერძნეთის სიკეთიდან რამე არ მოიხსენოს ყოველ დღე.

გეოგრაფია, ფიზიკა, ფილოსოფია და მრავალი ამისთანა ლექსები სულ ბერძნის მეცნიერებიდამ გამოდის.

აი ამ დიდებულ ერს მეზობლობდა საქართველო უხსოვარ დროიდანვე.

ჯერ ისევ მის გაცნობამდე კოლხელებს ჰქონდათ აწყობილი თვისი თავისუფალი სახელმწიფო, თავისი ეროვნული სარწმუნოება. და ამ ქართული წესწყობილებიდან ზოგი-რამ სიკეთე კოლხეთიდან გადაჰყვათ საბერძნეთს, მაგ. ლითონების შემუშავების ცოდნა, უშვენიერეს ღმერთის ათინას ანდალმა, ალბად მევენახეობის წესიც და მრ. სხ. გადმოცემა.

შემდეგ საუკუნოებში-კი რაც რამ გონებრივი სიკეთე ებადათ ბერძნებს, ქართველებმა ყველა გადმოიღეს და შეისისხლხორცეს, და ასრე შესდგა უმდიდრესი კრებული აუარებელი და უძვირფასეს ხელნაწერებისა. და დღეს თუმცა ავთა დროთ წყალობით ამ ხელნაწერების დიდი ნაწილი გაბნეულია რუსეთის, ინგლისის, ბერლინის, პარიზის, ავსტრიის, საბერძნეთის და პალესტინის ბიბლიოთეკებში, მაგრამ ამ გაბნეულ ნაწილის მიუხედავად რაც დღეს ჩვენი რესპუბლიკის ეროვნულ მუზეუმშია, იმის სიკეთეც საკმაოა, რომ სახელი გაუკეთოს თვით დიდ სახელმწიფოსაც.

მარგალიტი ნაგავში არ დაიმალება და ადრე თუ გვიან ბრწყინვას იწყებს რადგან ბრწყინვალება მისი ბუნებრივი სტიქიონია.

მტრებმა საქართველოს ბევრი მტვერი აყარეს, მაგრამ ეს მტვერი არ მიიკარა მან.

ვინც მზეს ტალახს ესვრის, წამოვა, მასვე ეცემა და გაზანგლავს.

აგრე დაემართათ საქართველოს სიკეთის მტრებსაც, საქართველო კი თავის ღმობიერ წეს-წყობილებით, თავის უნივერსიტეტით, მუზეუმებით და კასკას შვილების ლხინში ლხინობით და ომში გმირულ ომობით თითით საჩვენებელი შეიქმნა კაცობრიობაში, და დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ თუ ამ მაღალ ნიჭიერ ერს რაიმე მოულოდნელი შემაფერხებელი ძალა არ გამოუჩნდა, რაოდენიმე ათეულ წლებში მისი ეროვნული კულტურის შარავანდედი უფრო ამაღლებულად გაბრწყინდება და კაცობრიობის სიკეთის საკურთხეველზე ქართველი უფრო თვალსაჩინო წვლილს მოიტანს. ამის თავმდებია ის, რომ თუმც ცოტა გვაქვს, მაგრამ ყოველგან სიკეთე მიუწდომელია ეს ცოტაც.

**მ. ჯანაშვილი.**

# საქართველოს პარლამენტში

**14 იანვრის სხდომა**

**თავმჯდომარეობს ი. ბარათაშვილი**

**ა. წერეთლის ს.-ფედერალისტთა პარტიიდან გაძევება**

პარლამენტის მდივანი კითხულობს სოც.-ფედერალისტთა განცხადებას, რომ პარლამენტის წევრი ალ. წერეთელი გაძევებულია პარტიიდან და უნდა მოეხსნას დეპუტატის ხარისხი.

**კანონპროექტი ნაფიც ვექილთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ**

**მ. რუხია.** კითხულობს კანონპროექტს ნაფიც ვექილთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ. კანონპროექტით ნაფიც მოსამართლეთა შემადგენლობაში შევლენ: ორივე სქესის პირნი რესპუბლიკის მოქალაქენი 25 წ. ზევით თუ კი იციან სახელმწიფო ენა, ნაფიც მოსამსახურეთა სიას ადგენს საოლქო სასამართლოს გამგეობითი სხდომა იმუშავებს, სამაზრო ქალაქის სამი ხმოსნის სამაზრო თვითმართველობისა და სამი ხმოსნის სამაზრო ერობის თანდასწრებით.

**რ. გაბაშვილი** (დ. ნ. დ.) წინააღმდეგია ნაფიცთა ფუნქციებისა და კომპეტენციის გაფართოებას, რომ მათ ეძლევათ უფლება კანონის სტატიების ამორჩევისა, რადგანაც ორატორის აზრით გამოუცდელ და უცოდინარო მოსამართლეთა ხელში ამ რთულ საქმეში ჩაგდება, მიიყვანს იქამდე, რომ ნაფიც ვექილთა სასამართლო დაემსგავსება „დინჩის“ სასამართლოსა.

სიტყვას თხოულობს იუსტიციის მინისტრი მესხიშვილი, რომელიც უპასუხებს რ. გაბაშვილს, რომ უკანასკნელ დროს იურიდიული მეცნიერება მოითხოვეს, რომ ნაფიც ვექილთა ხელში იქნეს. კანონების მოხმარა; უხერხულია როცა ნაფიც მოსამართლეთ ენდობიან ერთის მხრივ ისეთ მძიმე საქმეს, როგორც დანაშაულობის ცოდნა და მეორეს მხრით, სასჯელის ხარისხის გამოძებნა და კანონის მოხმარას მას არ ენდობიან. ასეთი უფლებებითაა აღჭურვილი.

ნაფუცი მსაჯულნი ჟენევის კანტონში 1919 წლ. კანონით, და ამ კანონმა დიდი ნაყოფი გამოიღო. ამის მომხრე არიან საფრანგეთში იურიდიულ მეცნიერების საუკეთესო მცოდნენი, და რუსეთშიაც კი ფიქრობდენ მის ცხოვრებაში გატარებას. მაგრამ ხელი შეუშალეს რეაქციონერებმა. დაბოლოს კერენსკის მიერ გამოცემული კანონრ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სასამართლოებში აღჭურვილი იყო ამ უფლებით. და პრაქტიკამ მშვენივრად დაამტკიცა. შესაფერისობა ასეთი სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციის გაფართოებისა ყოველ დანაშაულობას ინდივიდუალური ხასიათი აქვს და რაც მეტი ინდივიდუალიზაციაა საქმის წარმოების დროს, იმდენად უფრო სასამართლო ახლო იქნება სიმართლესთან.

მუხლობრივ წაკითხვით კანონპროექტი მიიღეს იურიდიულ კომისიის რედაქციით.

სხდომა 3 საათზე იხურება.

# ქალაქის საბჭო

**31 იანვრის სხდომა.**

(დასასრული).

**ხმოსანი არსენიძე.** ხმოსნებო, დღეს ოპოზიციონერთა ბანაკი ორ კატეგორიად შეიძლება გაიყოს: ერთი რომელიც დასტირის წარსულ ეშელონებს და მეორე ვისაც არა სურს საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომობა ხოლო ქალაქის საბჭოში ყოფნაზე კი უარს არ იტყვის. პირველთა სანუგეშოდ უნდა განვაცხადოთ, რომ ის ეშელონები აქაც რომ იყვნენ იმათ მაინც აღარ მისცემენ ხმას. ისინი დიდი ხანია გაბოლშევიკდნენ ხოლო მათ, ვინც ქვეშევრდომობაზე სტირიან, ჰქონდათ დრო და საშუალებაც ჩვენი ქვეშევრდომობის მიღებისა. მთავრობამ 16 მკათათვეში გამოაცხადა ქვეშევრდომობის კანონი, და თუ ეს ხალხი ახლაც საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომებად არ ირიცხება ეს მათი ბრალია, ამაში ჩვენ ბრალი არ მიგვიძღვის.

**ხანდანოვი** (კ. დ.) მიუთითებს, რომ არსებობს სახელმწიფოები მაგ. ინგლისი სადაც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთაც თუ იქ რამოდენიმე ხანი უცხოვრია, შეუძლია ქალაქის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. და უსურვებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას იმპერიალისტურ ინგლისიდან მაინც ისესხოს ეს კანონი.

**ჭიაბრიშვილი** (ს. დ.) ის ხალხი, რომელიც აქ მარტო დღეს კი არ ლაპარაკობს ასეთი ტონით ის ხალხია, რომელიც მოულოდნელად ელის დენიკინს. საყურადღებოთ უნდა განვაცხადოთ, რომ ქართველი დემოკრატია, რომელმაც მოიპოვა დამოუკიდებლობა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს თავის ქვეყნის დამოუკიდებლობას (ტაში). აქ გვისაყვედურებენ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს რეპრესიები არ შეშვენისო, ბატონებო დემოკრატიას არ უყვარს რეპრესიები, ოღონდ იმის უფლებებს ფეხქვეშ ნუ გასთელავენ.

**პ. გოთუა** (ე. დ.) მოქალაქენო. 1 იანვარს გათავდა ჩვენი საბჭოს რწმუნებულება. საბჭოს დღეები დათვლილია. ქართული თქმულებაა: „შემოდგომაზე ბუზები მეტად იკბინებიანო“, აქაც ისეა, კბენას მოუმატეს სწორედ იმ ვაჟბატონებმა, ვისი დღეებიც საბჭოში დათვლილია, ეს ვაჟბატონები არიან ისინი ვინც თავიანთი შეუწყვეტელი უმნიშვნელო შეკითხვებით, საშუალებას არ აძლევდენ ქალ. საბჭოს მუნიციპალური მუშაობა განეგრძო. ესენი არიან ის ვაჟბატონები, რომლებმაც ქალაქის საბჭოს ტრიბუნა საქართველოს რესპუბლიკის საწინააღმდეგო სააგიტაციოდ გადააქციეს მეტსაც ვიტყვი, ესენი არიან ის ვაჟბატონები. რომლების ნამუშევარის ნაყოფიც ჩვენი სადახლოსთან დამარცხება. (ტაში) (ხმები. სომხებში—ტყუილია).

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ჰდრო შემოსულიყო თბილისში რა მოხდებოდა? (ხმები: სომხებ. ეს არ შეიძლებოდა). არ შეიძლებოდა იმიტომ, რომ საქართველოს ყოველთვის შეეძლო შემოსეულ ურდოს მტრისთვის პასუხის მიცემა.

ხალხი ერთსულოვნად გაეშურა ბრძოლის ველზედ, არ დაიშურა სიცოცხლე და საქართველოც დაიხსნა სომხებისაგან. მაგრამ აქ არ უნდა შევჩერდეთ ჩვენ, ჩვენ უნდა შევქმნათ მაგარი მტკიცე შინაური ორგანიზაცია, რომ მტერი მას ახლოს ვერ ეკარებოდეს. ამ ორგანიზაციაში შევლენ საქმიანი მოქალაქენი და არა მეამბოხენი.

მე ვიცი, რომ ამრჩეველთა სიაში მოხვდენ ისეთი მოქალაქენი, რომელთაც მარტო ამ დღისათვის ქონდათ აღებული საქართ. ქვეშევრდომობის მოწმობა, და რომელნიც მეორე დღესვე გაიქცენ რუსთა ეროვნულ საბჭოში. თუ სპარსეთის ან ადერბეიჯანის საკონსულოში, და მათი ქვეშევრდომობის ქაღალდი გამოიტანეს. მე მოვითხოვ გამგეობიდან მოითხოვოს სიები, ამ საკონსულოებიდან და ის მოქალაქენი, რომლებიც მეორე დღესვე იქ გარბოდენ, ამრჩეველთა სიიდან ამორიცხულ იქმნეს. ხმოსანმა ხანდანოვმა აქ ინგლისის კანონმდებლობას შეეხო, სამწუხაროდ უნდა ვაღიარო რომ ამ მხრივ, იმ ინგლისის „მულებს“, რომლებიც დღეს თბილისში სეირნობენ, მატი ეცოდინებათ მოქ. ხანდანოვზე. არაფერი ისეთი რაც ალბად მოქ. ხანდანოვს სიზმრებია, ინგლისში არ არის. ჩვენ რომ ინგლისის კანონით ვიხელმძღვანელოთ აქ ამდენი სოციალისტები ვერ მოხვდებიან.

ნება მიეცით ბატონებო ამ უპასუხისმგებლო პირებს იხდნენ აქ სანამ ახალ აფეთქებას არ მოახდენენ.

ბატონებო მე ამდენხანაც ვამტკიცებდი სწორედ ამ ტრიბუნიდან, რომ ასეთი ქალაქის საბჭო თავის დროზე უნდა გაგვერეკა. და დღეს მაინც რადა უშლის. (მქუხარე ტაში).

**იაგჯიანი** (დ. ც.) რევოლიუციონურ ჟესტებით ლაპარაკობს—მიუთითებს დღევანდელ ანორმალურ მდგომარეობაზე, და ამბობს, რომ დღეს შეუძლებელია არჩევნების მოხდენა, შემდეგ ამტკიცებს, რომ ქართველ და სომხის დემოკრატიას შორის ჯერ ხრამი არ არის, და რომ იყოს ჩვენ ჩვენვე გვამებით ამოვავსებთო. (გოთუა ადგილიდან გაცხარებული. მაგას ვერ უნდა ბედავდეთ ამ ომის შემდეგ) (ხმაურობაა).

**ბარათაშვილი** (ს. ფ.) მოქალაქენო აქ ჩვენ მიგვითითებენ, ჩვენ უკანონობაზე თუ ამას თქვენ დაამტ იცებთ ჩვენ ქედს მოვიხდით თქვენს წინაშე.

საქართველოს რესპუბლიკის კანონებ ძალიან გარკვეული და გასაგებია. მე მესმის რო ხუდადოვი არ ემორჩილება კანონს, მაგრამ გაუგებარია რაიც ხანდანოვი კონსტიტუციონისტი ამასვე ჩადის. ეს ბატონებო ანარქიაა და მეტი არაფერი. აქ ამტკიცებენ თქვენი დამოუკიდებლობის საწინაღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქო, ბატონებო, მაშ რათ არ ემორჩილებით, კანონებს?

**ქ. თავი ელიავა.** მოქალაქენო! აქ იყო თქმული, რომ ვითომც მე დავცილდი დემოკრატიას, არა ბატონებო, მე დემოკრატმას კი არა ხუდადოვს დავცილდი. აქ დიდხანს ლაპარაკობდენ ძირითად კანონებზე. ბატონებო, კანონი გამოცემული, ძალაშია და ჩვენც უნდა დავემორჩილოთ იმას. არჩევნები მალე უნდა მოხდეს, რადგანაც ამას საქმის ინტერესი მოითხოვს.

ამის შემდეგ კამათი ისპობა. შემოაქვთ რეზოლუციები. დაშნაკელებისა, კადეტებისა, რევოლუციონერებისა და რუს. სოც.-დემოკრატების თუმც ცალკ-ცალკე მაგრამ არსებითად ერთი და იგივე. გადაწყვეტილია მოხდეს ხელსხალი აღწერა და არჩევნები გადაიდოს. კადეტები იმასაც კი უმატებდენ, რომ მომავალ აღწერის ქვეშევრდომობის ცენზი ნუ შევა ძალაშიო.

ს.-დემოკრატების რეზოლიუცია. ქალაქის საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება, მოიწონა იგი და საჭიროდ სცნობს, რაც შეიძლება მალე მოხდეს არჩევნები.

კენჭს უყრიან ს.-დ. რეზოლუციას: —არ გადის. არც სხვა რეზოლუცია გადის. ამ გვარად გამგეობა მოქმედებს ისე როგორც დღემდე მოქმედებდა.

კრება იხურება ღამის 1 საათზე.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

**გერმანული პრესა.**

იანვრის 14.

**გრაფ ჩერნინის კანდიდატურა.**

სარწმუნო წყაროებიდან ცნობაა, რომ გრაფ ჩერნინმა გადასწყვიტა უარი სთქვას გერმანია-ავსტრიის დამფუძნებელ კრების კანდიდატობაზე.

**თავდასხმა ჩეხიის პრ. მიმისტრ კრამარჟზე.**

ჩეხიის პრემიერ მინისტრს კრამარჟს იანვრის 9 თავს დაესხენ სიკვდილის განზრახვით და ორჯელ ესროლეს რევოლვერიდან. მინისტრი ჟვნებლადაა. მსროლელი დააპატიმრეს.

**შეთანხმების სახელმწიფონი და გერმანია.**

შეთანხმების სახელმწიფოებმა უარჰყვეს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გერმანიას მიაწოდოს სურსათსანოვაგე და ნება დართონ, გერმანიის ნაპირებთან ნაოსნობის განახლებაზე.

**საფ. ელჩის განკარგულება.**

დროებითი ზავის გერმანულმა კომისიამ აღნიშნა, რომ საფრანგეთის ელჩმა შვეიცარიაში სამშობლოში დაბრუნების ნება არ მისცა შვეიცარიაში დაკავებულ გერმანელ ჯარისკაცებს. დროებითი ზავის გერმანულმა კომისიამ სთხოვა საფრანგეთის კომისიის თავმჯდომარეს გაუქმებულ იქმნას საფრანგეთის ელჩის განკარგულება.

# უცხოეთის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**დირექტორია კიევში და უკრაინის ახალი კაბინეტი.**

უკრაინის ახალ კაბინეტის შემადგენლობა ასეთია: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. ჩეხოვსკი (ს. დ.), შინაგან საქმეთა ა. იანკო (ს. რ.), მიწათ-მოქმედების მინისტრი შაპოვალი (ს. რ.), მინისტრი ფინანსთა ს. პერეპელიცა (ს. რ.), ვაჭრობა-მრეწველობისა პრ. ოსტაპენკო (ს. რ.), სამხედრო მინისტრი გენერალი გრეკოვი, საზღვაო მინისტრად პალივოდა (ს. რ.) და სხ.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ესენი მინისტრებად კი არ იქნებიან განწესებულნი, არამედ ცალკე უწყებათა გამგეებად, რომელნიც დირექტორიის ხელმძღვანელობით იმუშავებენ.

**ადერბეჯანი**

**ყარაბახი.**

ინგლისურმა მისიამ ანდრანიკს ნება არ დართო ზანგეზურის მაზრიდან გასულიყო, მხოლოდ წინადადება მისცა გერიუსებში დარჩენილიყო მდ. აქსარის არე-მარის დასაცავად. მისიამ თვისი წინადადება გენ. ტომსონს წარუდგინა. ანდრანიკას ასეთ უფლებით აღჭურვა მაჰმადიანთა მხრივ დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

ბოლო ხანებში სომხები კვლავ დაეცნენ თათართა ორ სოფელს, ფარიჯანს და ბარტანს.

შუშის და ზანგეზურის სომხები არ სცნობენ ადერბეიჯანის მთავრობას. სომხები ცდილობენ კონფერენციამდე ყარაბახის დიდი ნაწილი ხელთ იგდონ.

შუშა ევლახის გზაზე წესიერი და უხიფათო მიმოსვლაა. სომეხთა ბრბოები მაზრაში დიდ პროპაგანდას ეწევიან ადერბეიჯანის მთავრობის წინააღმდეგ.

# მკითხველთან საუბარი

ომი მავნებელია, კულტურის გამანადგურებელი, საუკეთესო ჯანსაღი ადამიანების მომსპობი რაც კარგს არას უქადის შთამომავლობას, მაგრამ ომს სარგებლობაც მოაქვს ხოლმე აძლევს შემთხვევას ამა თუ იმ ერს უფრო მეტი ჭკუა ისწავლოს და წარსულის გაკვეთილები მომავალში გამოიყენოს. ამ გვარივე შედეგები უეჭველია მოჰყვება დღევანდელ საშინელ ომსაც, მაგრამ ამას მხოლოდ ახლო მომავალი უფრო ცხადლივ დაგვანახვებს. მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ დღევანდელ ომმა საშინელი სისწრაფით სულ ცოტა ხნის განმავლობაში შესცვალა სხვა და სხვა გვარი შეხედულება, სულის განწყობილება, წამოაყენა ერთი მეორეზე სხვა და სხვა პერსპექტივები. სულ ორი წლის წინეთ ერობის შემოღების შესაძლებლობა ჩვენში საეჭვო იყო, თუმც ვორონცოვ-დაშკოვიც ამის მსურველი იყო. თბილისში იყო კიდეც ერობის თაობაზე სხდომა, რომელზედაც წარმოადგინა რუსეთის ცნობილმა დეპუტატმა რჟევსკიმ თავისი ვითომდა ლიბერალური მოსაზრება კავკასიაში ერობის შემოღების გამო. მაშინ ჩვენ იმის იმედს ვინ მოგვცემდა, რომ ერობა ჩვენში უფრო ვრცელ ფარგლებში განხორციელებულიყო, ვიდრე რუსეთში. ეს სხდომა მით იყო საინტერესო, რომ იგი იყო ნამდვილი დღესასწაული ქართული აზროვნების და გულწრფელობისა. საინტერესო სიტყვები წარმოსთქვეს განსვენებულ კიტამ, კედიამ დემიდოვმა და სხვებმა. რჟევსკი, ხატისოვი და სხვები არავითარ ყურადღებას არ იქცევდენ, რადგან მათი სიტყვები აზრს და გულწრფელობას იყვენ მოკლებული. ორ წელიწადსაც არ გაუვლია და ჩვენ წინაშე გაიშალა სულ სხვა პერსპექტივა, სულ სხვა შესაძლებლობა, სულ ახალი ფორმა პოლიტიკურ და საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ორი წლის წინეთ ჩვენი ცხოვრება ჩვენივე უთანხმობის წყალობით, რასაც გარეშე უხეში ძალაც უწყობდა ხელს, პირდაპირ აუტანელი ძოხდა, რადგან საზიზღარი შუღლი გამეფდა. პარტია პარტიას არ ინდობდა, იყო თავდასხმა. დროშების გლეჯა, პარტიის ბინების დარბევა. ეხლა, მადლობა ღმერთ, თანდათან ჩამოვარდა სიმშვიდე, ერთი მეორეს პატივის ცემა. თავისუფალი სამშობლოს ხილვამ ყველას თვალზე ნეტარების ცრემლი მოგვარა, დაგვამშვიდა და უფრო ღმობიერი გაგვხადა. ვერაგულად ჩვენ სამშობლოში შემოჭრილმა სომხობამ ერთიანად შეარყია ჩვენი ქვეყანა, გვაგრძნობინა, რომ ჩვენ ყველას ერთი სული გვქონებია, ერთის სისხლის ვყოფილვართ და ამისთვის ერთსულოვანიც ეს ძლიერ დაეტყო ყოველ მხარეს ჩვენი ცხოვრებისას, ეს ეტყობა ჩვენი ცხოვრების სარკეს—ლიტერატურასაც. ქართულ გაზეთებსაც დაეტყო მეტი აღფრთოვანება, მეტი დარბაისლობა, მეტი პატივი ერთი მეორისა. მაგრამ აგერ-ეგერ შემთხვევებით გაზეთებში ძველებურ შუღლის ნიშნებს, გესლიანობას ამჩნევ. ავიღოთ თუნდაც ერთობის იანვრის მ-4-ე ნომერი. თითქმის მთელი ნომერი მშვიდობიანობის და ჩვენი ქვეყნის კარგი ამბების მომთხრობელია, მთელი გაზეთი გვიღვიძებს იმედს, რომ ბათომიც ჩვენი იქნება, მთელი აჭარა ძმურათ გვიშვერს ხელებს და გვცნობს ამიერიდან განუყრელ ძმებათ. ეს ყველაფერი სიამოვნებას გვრის მკითხველს. მაგრამ გაზეთში მაინც საჭირო შეიქმნა ცოტაოდენი შხამის დანთხევა. აი ნიმუში პრესაში გატარებული: „დაშნაკელები ყველა ერს მოეპოება საქართველოს რესპუბლიკაში ისინი ორივე ჯურის არიან: სომხებიც და ქართველებიც. სომხის დაშნაკელებს თავის ნამდვილი სახელი ჰქვიათ, სოციალისტურსა და რევოლიუციურ სახელწოდებას იმა ქვეყნის თვალების ასახვევათ. ქართველ დაშნაკელებს კი ნაციონალ-დემოკრატები ეწოდებათ. ორივე პარტიას შემაერთებელი ხაზია: ომი, სისხლის ღვრა. ეროვნული სიძულვილი. სომხის დაშნაკელებს სძულს ქართველები და საქართველო, ქართველ დაშნაკელებს—სომხის ერი და არარატი“.. ამგვარი ყოვლად უსაფუძვლო და შეუფერებელი ანალიზი არის გამოწვეული „საქართველოს“ მეორე ნომერში მოთავსებულ მარულადაც უადგილო სურვილის გამო, რომ ნაახალწლევს გაგრძელდეს სომხებთან ომი გაორკეცებული ენერგიით. ყოვლად უსაფუძვლოა, რომ ქართველს ან რომელიმე პარტიას ეწოდოს დაშნაკელი. არ?გვულება ქართველი, რომ ფიქრობდეს ვისიმე ქვეყნის დაპყრობას და მისი მცხოვრებლების დამორჩილებას. ეს არც წარსულში ჰქონიათ ქართველებს ჩვეულებათ. ქართველი ფიქრობს და ოცნებობს მხოლოდ თვისი სამშობლოს შენარჩუნებას: დაშნაკელი და საზოგადოდ სომეხი ლამობს სხვის ცხოვრებაში შეჭრას და სხვისი უბედურებაზე თავისი ბედნიერების აგებას. აი ძირითადი განსხვავება ამ ორ ერთა შორის.

პირდაპირ და ყოველთვის გულმტკივნეულად ვაძლევდი ჩემს თავს კითხვას: რად ვძულვართ ქართველები სომხებს, როდესაც ქართველობას არც ძველად, არც ახლა არ მიუცია სომხებისთვის სიძულვილის მიზეზ. მე კიდევ მესმოდა ქართველის სიძულვილი სომხების და რუსებისადმი, რადგან რუსების პოლიტიკისაგან ჩვენ დაბეჩავებული და უფლებას მოკლებული ვიყავით, ამ პოლიტიკამ გააბატონა თვით სომხებიც ჩვენში, მაგრამ მე ვერ გამეგო, რუსების სიძულვილი ჩვენდამი, რადგან მათი ლოიალური მონები ვიყავით.

ამ გვარადვე ძნელი წარმოსადგენია ჩემთვის სომხების სიძულვილი ჩვენდამი, რადგან მათთვის ჩვენ გემრიელს ლუკმას წარმოვადგენდით [illegible] როდესაც ჩვენ რუსეთ [illegible] ვიყავით ხელებ შეკრული, სომხობამ თავისუფლათ გაშალა ფრთა საქართველოში. თავისუფლად და დაუბრკოლებლად შეიძინა ჩვენში ის, რაც უნდოდა და არავინ ყავდა დამშლელი და მოქიშპე. ერთად დრთი სამოქმედო ასპარეზი ჩვენებისათვის რესტორანების და სასტუმროების გახსნაში იყო და ისიც ძნელი საქმე შეიქმნა, რადგან სომხებმა განიზრახა ამ მხრითაც ჩვენი შეზღუდვა. მუშების სამუშავოს შოვნა ჩვენს დედა ქალაქში ჩვენი მუშებისათვის მეტად გასაჭირი შეიქმნა და შეწუხებულმა ჩვენმა მუშებმა კიდეც მიმართეს ამის გამო არჩილ ჯორჯაძეს, რომელმაც მწუხარებით აღნიშნა ეს მოვლენა, მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი მან ვერ იპოვა. ამ პირობებში სომხები რომ ღვარძლიანი და სრულებით მოკლებული რომ არ ყოფილიყვენ სიყვარულის გრძნობას, მათ კიდეც უნდა შევ[illegible] უფრო უნ[illegible] შევეთვისეიბეთ. მაგრამ პირიქით ჩვენი ეკონომიურათ დაკნინება მათ ახარებდა და სიამოვნებით უვსებდა გულს. მაგრამ ერთგვარი ფსიხოლოგიური, ან უკეთ რომ ვსთქვათ ფიზიოლოგიური თვისება სჭირს ადამიანს.

რაც შენ მოჰპარებულად სჭამ და რასაც ყოველ ჟამს ხედავ, ის გეზიზღება. ეს ერთად ერთი ახირებული ზოოლოგიური გასასამართლებელი საბუთი აქვს სომხების სიძულვილე ქართველებისადმი. ქართველს სომეხი არსად არ ახარებდა: არ ახარებდა ქართველებისაგან მჭიდრო დასახლებულ საქართველოში და ჰაისტანში თუ მოსახლეობდა ქართველი და რამე საქმეს დაიწყებდა ან სიცოცხლეს უნდა გამოსალმებოდა და ან გუდა ნაბად აკიდებული საქართველოში უნდა გამოქცეულიყო. სომეხი კი ახლად შემოსული ქართველის ოჯახში, ყველაფერს ეპოტინებოდა და ხშირად მასპინძელს ულუკმა-პუროთ სტოვებდა. ამ პირობებში ქართველში კიდეც რომ გაჩენილიყო სომხისადმი სიძულვილით, გასაკვირიც არ იყო, თუმცა სიძულვილი და შიში ცუდი თვისებაა. მათ ძა[illegible] მეტი საქმიანობა და სიფხზლე [illegible] თუ ქართველს არსებულ პი[illegible] დაებადა სომხის სიძულვილი და საათანავე მისი თავიდან მოშოოების სურვილი, მეტადრე მაშინ, როდესაც იგი ვერაგულათ გეცემა [illegible] ადვილათ ასახსნელი და [illegible] საპატიო ადამიანს დაშნაკობას [illegible] ან არ აქვს ნათესაობრივი კავშირი. დაშნაკობა სომხეთში და სომხურ ნიადაგზეა წარმოშობილი, იგი მართლაც რაღაც ველური და თავისებური რამ არის და ეგ წოდება ქართველი კაცისათვის მიძღვნილი უკანასკნელის შეგინება და შეურაცყოფაა უკიდურესი ქართველი [illegible] ნაციონალ-დემოკრატი და საზოგადოთ ქართველი ასე ფიქრობს და ოცნებობს: საქართველო უპირველესად ქართველებისათვის, დაშნაკელი სულ სხვებრ ფიქრობს და ოცნებობს: სომხებს სომხეთი და ზედმეტად საქართველოო. და კიდეც სომხების ამ გვარ ხასიათში გამოხატულია ქართველების ტრაგიზმი.

საუკუნეზე მეტია, რაც საქართველოს [illegible] იყო. გერმანიას, სხვა კარგი საქმისა, ის კარგიც უქმნია ჩვენთვის, რომ დაარღვია რუსეთი და ჩვენს დაკანონებულს ცხოვრებას ფარდა ახადა და დაგვანახვა თავისუფლების მზე. ამ ბრწყინვალე მზის [illegible] ჰამობენ ჩვენი მტრები [illegible] ყველაზე უფრო სომხები. მაგრამ დაუძინებელმა მტერმა საშინური გაგვიწია, გამოაღვიძა ერი. შეაკრთო მისი ყველა ნაწილები და ეს დიდ იმედს გვიღვიძებს დაკარგვას მომავალი გვიქადის. ამგვარი სანატრელი ცვლილება მოხდა ხალხში სულ ცოტა ხანში და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მამულიშვილობა ძლიერ გრძნობათ გადაექცევა ქართველობას აწ არეულ პროგრესის გზას, უფრო გულმოდგინებით შეიგნეს, რომ საქართველო უპირველესათ ქართველობისთვის არის უფრო შეგნებულათ და შეუგნებლათ ემსახურება სახელმწიფოებრს იდეას. თუ ჩვენ ამ მიზანს მივაღწევთ, არავითარი განსაცდელი არ მოევლინება ჩვენ კერძო და ნაციონალურ ინდივიდუალობას და მაშინ ყოველი ქართველი მოძულე კი არა, ნამდვილი კეთილის მსურველი იქნება ყველასი და უფრო სომხეაის. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ეროვნული ძალების მისუსტებამ, მიძინებამ უფრო გაუღვიძა მტრებს, მეტადრე სომხებს, ჩვენი მოსპობის სურვილის. დედამიწაზედ კი არ მოიპოვება ერი რომელსაც ალტრუისტიური გრძნ[illegible] ესოდენ განვითარებული ჰქონ[illegible] ოდენ პატივისცემით ექცეო-

დეს უცხოეთს, და თუ ჩვენ შევედით ევროპიელთა ოჯახში, როგორც თავისუფალი და თანასწორი წევრი, შეიძლება ამ ქართველობის დიდებულ თვისების გაცნობამ ევროპიელების მხრით, უკანასკნელობის თვალში კიდეც აგვხიოს საგრძნობლად და მოგვიპოვოს მათგან მეტი პატივისცემა, მაგრამ დღემდის ქართველობის გულკეთილობა, ალტრუისტური გრძნობა შეადგენდა დიდ უბედურებას. სომხებს ეს თვისებები არასოდეს არ ჰქონიათ და არც აქვთ ეხლაც და ვინ დაგვარწმუნებს, რომ სომხები აწი შეიქმნებიან ჩვენი მოსიყვარულე და კეთილის მოსურნენი. იმედი ქონდეს, მაშინ იერიქონის საყვირით პირში იალბუზზე ავფრინდებოდი და ვაყვირებდი ქვეყანას და ქართველებსაც. გახსენით ყველგან გზები, შემოუშვით საქართველოში სომხობა, მალე დადგება სანეტარო ჟამი, როდესაც სომხობას დაადგება მოსე ხორონელის გზას და ზიზღით და სიძულვილით უარყოფს ვერაგობას, გაუტანლობას და სხვა ადამიანის დამამცირებელს თვისებას, მაშინ სული ჩემი ნეტარებით აღივსებოდა, წინასწარმეტყველის სახელსაც დავიმსახურებდი და გული ქართველებთან ერთად სიმშვიდით დამიტკბებოდა. მაგრამ საუბედუროთ დაშნაკელის და ყოველი ქართველის ბუნება ისე დიამეტრალურად განსხვავდებიან, რომ ისინი ისე ვერ შეთვისდებიან, როგორც ზეთი და წყალი ერთმანეთში არ ერევიან.

ე. ვაშაკიძე.

# იმერთა მეფე სოლომონ

(1815 წ.)

### I. ოსთა მეფე იმერეთში.

1752 წლიდან დასავლეთ საქართველოში ჩვეულებრივი ამბოხება დაცხრა. სოლომონ პირველმა მოიშორა თათართა ბატონობა, ალაგმა ალვირაშვებული ფეოდალები და მოიპოვა გავლენა გურიასა და სამეგრელოზე. იგი იყო ქართლ-კახეთის მეფის ირაკლი მეორის თანამედროვე და მასთან ერთად შესტრფოდა რუსეთთან კავშირს.

1784 წელს გარდაიცვალა სოლომონ პირველი და დასტოვა თავისი სამეფო საკმაოდ ძლიერი. ტახტის მემკვიდრედ უშვილობის გამო სოლომონმა გამოაცხადა ერეკლე მეორის გავლენით დავით არჩილის ძე, შვილიშვილი ერეკლესი. მისი მამა იყო სოლომონ პირველის ძმა. არჩილი მეტად მოუსვენარი ბატონიშვილი იყო, რომელიც ძმამ იმერეთიდან გააძევა. მან შეირთო ცოლად ერეკლეს ასული ელენე, რომლისაგან გაუჩნდა დავითი, შემდეგში სოლომონ მეორე, რომელმაც თავისი ცხოვრების განმავლობაში მრავალი ტანჯვა და წვალება მოითმინა თვისი ქვეყნის ბედნიერებისათვის და ისე ჩავიდა საფლავს, რომ ქუდი არ მოუხარა რუსთა ბატონობას, რომელიც უხეშ ძალად და თავისუფლების მესაფლავედ მოევლინა საქართველოს ცხრა მთას იქიდან 1801 წელს. დავით არჩილის ძეს ტახტის მოკიმავე გამოუჩნდა დავითი გიორგის ძე, ლვიძლი ბიძაშვილი. დავით არჩილის ძე სოლომონ პირველის გარდაცვალებისას იყო 12 წლისა, ხოლო დავით გიორგის ძე კი 29 წლისა. იმერლებმა მეფედ დავით გიორგის ძე აღიარეს. დავით გიორგის ძეს დიდი სამსახური გაუწია გამეფებაში თავისმა სიძემ პაპულა წერეთელმა, იმერთა ჯარის სარდალმა, რუსთა წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა ბურნაშევმა და კათალიკოზმა მაქსიმემ.

ჩვენი მეფეები ერთი-ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რუსთა ალერსში. წმიდა-უწყუმ პეტრეს ქალაქში მოციქულებს ჰგზავნიდნენ და მფარველობას თხოულობდნენ.

ასე მოიქცა დავით გიორგის ძეც. მისმა ელჩებმა ზურაბ წერეთელმა, დავით კვინიხიძემ და კათალიკოსმა მაქსიმემ 1785 წელს წარუდგინეს მოხსენება რუსეთის ხელმწიფეს იმის შესახებ, თუ რა სარგებლობა მოელოდა რუსეთს იმერეთის შეერთებიდან და სთხოვდნენ ხელმწიფეს, მიეღო თავის მფარველობის ქვეშ ეს ქვეყანა. გარემოებათა რგოლმა შემდეგში დაუკავშირა პაპუნა წერეთელი უარყოფილს დავით არჩილის ძეს, საქმე ისაა, რომ პაპუნას არ გაუმართლდა იმედები: დავით მეფემ არ აპარპაშა ის, როგორც ნებავდა, ალვირი ამოსდო მის გალვიძებულ ძალას. პაპუნამ განიზრახა თავისი ცოლის ძმა, მეფე ტახტიდან ჩამოეგდო და დავით არჩილის ძე გაემეფებინა.

პაპუნას მიემხრო სეხნია წულუკიძე და ამ ორმა თავადმა მიჰმართეს ახალციხის ფაშას სულეიმანს დახმარებისათვის დავით გიორგის ძის წინააღმდეგ. საკვირველია, რომ ძირითადი ქართული ოლქის მესხეთის გამაჰმადიანებული სატახტო ქალაქის, ახალციხის ფაშები დიდს როლს თამაშობდნენ საქართველოს ბედ-იღბალში. ისინი იყვნენ თვალნი და ყურნი სულთანისა და დარაჯნი ოსმალეთის მასზე გავლენისა. დღეს რომ ერთს მიემხრობოდნენ, ქართველ მეფეს ან თავადს, ხვალ მეორეს: საქმე იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ვინ მიასწრებდა და მეტს ფულს მისცემდა ახალციხის მაჰმადიან ფაშებს. ქართველთა დამარცხებაში შველოდნენ ლეკებიც, ეს ქართველების დაუძინებელი მტრები ძველ დროში... როგორც ოსმალნი, ისე ლეკნი, მისდევდნენ პირად სარგებლობას, შემოსევის დროს სძარცვავდნენ ქართველთ და ალაფით დატვირთულნი უკან ბრუნდებოდნენ.

ოსმალ-ლეკთა რაზმი, რომელიც პაპუნამ და წულუკიძემ მოიყვანეს იმერეთში, დავით გიორგის ძემ დაამარცხა 1786—1787 წლებში. ამასობაში დავითს მოუვიდა რუსეთიდან ხელმწიფის საჩუქარი 4000 ოქრო და პოლკოვნიკი ტაგულინი, რომელსაც უნდა დაემყარებინა იმერეთში მშვიდობა იმერეთ-გურია-სამეგრელოს შეერთებით მტერთა წინააღმდეგ.

დავით არჩილის ძე იძულებული შეიქმნა ახალციხეში ეცხოვრა. აქედამ გადავიდა ქართლს და სთხოვა დახმარება თავის პაპას ერეკლე მეორეს. მან 1790 წელს დავით გიორგის ძე დაამარცხა გრიგოლ დადიანის და დავით გიორგის ძის ქართლის ბატონიშვილის დახმარებით. გამეფდა დავით არჩილისძე და იწოდა სოლომონ მეორედ. ახლა დავით გიორგისძე გაიქცა ახალციხეს და თავის ბედის გამობრუნებას სცდილობდა. ლეკების და ოსმალების დახმარებით დავითი კვლავ მალე დროით გამეფდა, მაგრამ ირაკლის შვილისშვილმა იოანემ იგი ტახტიდან ჩამოაგდო და გაამეფა ისევ სოლომონი. დავითი დამორჩილდა თავის ბედს და თვისსა ერთგულების ნიშნად მძევლად მისცა სოლომონს თავისი ვაჟი კონსტანტინე, რომელიც დაატუსაღა სოლომონმა მაცხოვრის ციხეში. დავითი მაინც არ სცხრებოდა. დაიყოლია გრიგოლ დადიანი მომხრეობაზე, შეება ისევ სოლომონს, რომელმაც მტრები საგრძნობლად დაამარცხა. სოლომონს მხარს უჭერდა ერეკლე მეორე და მისი შვილები და შვილიშვილები.

### 2. სოლომონ მეორის ერთმეფობა

1795 წელს გარდაიცვალა დავით მეფე და სოლომონს მოქიშპე აღარავინ ჰყავდა ამის შემდეგ სოლომონმა შეირთო გრიგოლ დადიანის და მარინე ცოლად, ხოლო გრიგოლ დადიანმა ერეკლეს მემკვიდრის გიორგის ასული ნინო. ამის მეოხებით ქართლ-კახეთი, იმერეთი და სამეგრელო დაკავშირდენ ნათესაური კავშირით. ამის შემდეგ სოლომონი შეუდგა იმერეთის სამეფოს საქმეების მოწესრიგებას.

სოლომონი მძლავრად გრძნობდა საქართველოს ერთობის საჭიროებას და ამის გამო გურიელი, დადიანი, თვითონ სოლომონი და ერეკლე მეორე ტრაქტატით შეკავშირდენ 1790 წელს. ამ ტრაქტატის ძალით საქართველოს ხსენებული მფლობელები ჰკრავდენ პირობებს, რომ ერთმანეთის დამხმარენი იქნებოდენ გაჭირვების ჟამს და ერთად იბრძოლებდენ საქართველოს მტერთა წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ეს ტრაქტატი, ჩაგონებული სალი ჭკუის მიერ, დარჩა ცარიელ ქაღალდად და განხორციელებას ვერ ეღირსა. ირაკლის ჭკუამ, რომელმაც აღმოსავლეთი საქართველო გააძლიერა, ლიხის მთის იქით ვერა დაინახა-რა სოლომონმა, რომ დავითს უკან არ ჩამორჩენოდა, თვითონაც გაგზავნა ელჩი პეტრეს ქალაქში და რუსებს იწვევდა შავი ზღვის ნაპირებზე ნავთსადგურების გასამართავად, მაგრამ სოლომონი მომავალში დარწმუნდა, თუ რა ძნელი საქმე იყო რუსეთის ბიუროკრატია, რომელსაც არაფრად ესიამოვნა ზემო დასახელებული ტრაქტატი, შეკრული საქართველოს მფლობელთაშორის. რუსის მთავრობამ 1795 წელს, როდესაც ხოჯა აღა მაჰმად-ხანი, სპარსეთის შაჰი, ირაკლიზე გაბრაზებული რუსეთთან შეკავშირების გამო, ტფილისს უახლოვდება შეწევნა არ მისცა ერეკლე მეფეს. ამას გარდა რუსის მთავრობა იმერეთის გაძლიერებაში, ქართლ-კახეთის დასუსტების შემდეგ, საშიშ ნიშნებს ხედავდა თვისი ბატონობისათვის. მთავრობა ურჩევდა გუდოვიჩს, კავკასიის ჯარის მთავარსარდალს, რომ მიეღო ზომები, რათა სოლომონ მეორე მაინც და მაინც არ წაექეზებინა ერეკლეს საშველად, რომ ამით არ გაძლიერებულიყო ქართლ-კახეთი, რომელიც რუსეთისთვის სუსტი სჯობდა, მინემ ძლიერი,-. თვით ზურაბ წერეთელი, რუსთავან წინასწარ მოქრთამული, ორი ათასი ჯარით იმერეთიდან ერეკლეს საშველად მოსული 1795 წელს (კრწანისის ბრძოლა) უკან ბრუნდება, მას შველა არ აღმოუჩინეს: ასე ეწყობოდა საქმე, რომ ქართველები იძულებული ხდებოდნენ ერთად ერთი იმედი რუსებზე დაემყარებიათ და მათ მონებად გადაქცეულიყვნენ.

1801 წელს გარდაიცვალა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი მეთორმეტე. მისი გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთი გადაიქცა რუსეთის უბრალო გუბერნიად წინააღმდეგ ერეკლე მეორის და ეკატერინე მეორის შორის დადებულის 1783 წლის ტრაქტატისა, რომლის ძალით ქართლ-კახეთი მხოლოდ მცირე ვასსალურ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყო რუსეთისაგან: მეფე, ჯარი, ფული, კანონი და სამართალი, ენა და სხვა— ხელშეუხლებელი უნდა ყოფილიყო. რუსთა მოხელეების კნორრინგის და კავალენსკის მეოხებით დამარხულ იქმნა ქართლ-კახეთის თავისუფლება.

ქართლ-კახეთი მოკვდა პოლიტიკურად გახდა მსხვერპლად შინაური ანარქიისა, მოუწესრიგებლობისა, რასაც მოსული რუსთა მოხელეები განძრახ და ხელოვნურად აღვივებდენ თვისი ბატონობის გასამტკიცებლად. ამ გარამოებამ ღრმად ჩააფიქრა სამშობლო ქვეყნის თავისუფლების ნამდვილი მოტრფიალეები.

ქართლ-კახეთის მამულისშვილების ტალღა გადმოტყორცნა იმერეთის სამეფოში და იქ ერთგვარი ნიადაგი შეამზადა თავისუფლებისათვის საბრძოლველად. იმერეთს გადავიდენ: მეფის შვილები ალექსანდრე, იულონი, ფარნაოზი, შესანიშნავი თავისი ნიჭით—სოლომონ ლეონიძე და სხვანი. ამის შემდეგ სოლომონი საგონებელს ჩავარდა. ნათლად მიხვდა, თუ როგორ მთავრობასთან დაიჭირა საქმე ქართლ-კახეთმა, რომლის შვილნი აჯანყებისათვის ემზადებოდენ.

### 3. სოლომონ მეორის მისწრაფებანი.

სოლომონი იყო ჭკვიანი და შორს მჭვრეტელი ადამიანი. ის ნათლად ხედავდა, რომ დღეს თუ არ ხვალ პოლიტიკური სიკვდილი იმერეთსაც მოელოდა: მან განიძრახა იმერეთის გამოცოცხლების და გაძლიერების საშუალებით გაემტკიცებია საქართველო; სცდილობდა დაემორჩილებია გურიის და სამეგრელოს მთავრები და მთელი დასავლეთი საქართველო ერთ სამეფოდ გადაექცია. შემდეგ მეზობელთა დახმარებით თავისი ბატონობა ქართლ-კახეთზედაც გაევრცელებინა, საიდანაც რუსებსაც უპირებდა გაძევებას. ამ მის განძრახვას წინააღუდგა მხოლოდ დადიანი გრიგოლი, რომელთანაც მას ჰქონდა ამის შემდეგ შეურიგებელი მტრობა. სოლომონს ძლიერი ჯარი ჰყავდა იმერთა და გურულთაგან შემდგარი. მან მეტად შეავიწროვა გრიგოლ დადიანი; სამეგრელოდან განაძევა. ქართლ-კახეთის რუსი გენერალი ლაზარევი მეტად ჩააფიქრა სოლომონის გაძლიერებამ, და ეს იყო მიზეზი, რომ 1801 წელსავე რუსებმა ვერ გაილაშქრეს იმერეთის სამეფოს დასამორჩილებლად; ეშინოდათ დამარცხებისა.

### 4 რუსეთი ერევა იმერეთის საქმეებში

მალე რუსეთის მთავრობამ გამოძებნა საბაბი იმერეთის საქმეებში ჩასარევად: რუსებმა მოთხოვეს სოლომონს გაედევნა სამეფოდან ბატონიშვილები: ალექსანდრე იულონი და ფარნაოზი. ამას სოლომონი არ ასრულებდა. რუსებმა მოსთხოვეს განთავისუფლებინა მუხურის ციხეში დამწყვდეული კონსტანტინე დავითისძე. ესეც არ აასრულა. ქართლ-კახეთიდან დარეჯანი, მისი ბებია, ურჩევდა რუსთა მოთხოვნილებანი არ აესრულებია,—ამასვე ურჩევდენ იმერთა დიდებულები; ამასვე ურჩევდა სპარსეთის შაჰი ბაბა-ხანი, ბაქოს ხანი და სხვანი... სპარსეთს და სოლომონს საერთოდ სურდათ იულონის გამეფება. რუსეთის მტრებთან სოლომონმა საიდუმლო კავშირი დაიჭირა, მაგრამ ამავე დროს იძულებული იყო რუსეთთანაც ტკბილად ეცხოვრა, თუ კი ეს მოხერხდებოდა, სოლომონს სურდა—რუსეთთან შეერთება, მაგრამ მთელი სახელმწიფოებრივი უფლების, სუვერენობის, შენარჩუნებით. თვით რუსეთსაც სურდა იმერეთის შემოერთება, რის დასტურიც ოსმალეთისგანაც მიიღო... ამავე დროს სოლომონს ომი ჰქონდა გრიგოლ დადიანთან ლეჩხუმის გამო, რომელიც უწინ ხან იმერეთისა იყო და ხან საქართველოსი. გრიგოლ დადიანმა დაასწრო სოლომონ მეფეს და გამართა ახლად დანიშნულს ქართლ-კახეთის მთავარ გამგეს გარუსებულ საზიზღარ ციციაშვილთან მიწერ-მოწერა რუსეთის მფარველობის შესახებ. ამ განძრახვის გულისთვის დადიანს უწყალობა რუსის მთავრობამ წმ. ალექსანდრე ნევის ორდენი, რომელიც დიდი აღტაცებით მიიღო ჭკუამოკლე დადიანმა. 4 დეკ. 180 წელს დადიანმა საზოლოვოდ დაიფიცა რუსეთის ერთგულებაზე და შეინარჩუნა სამეგრელოს ავტონომიური მართვა-გამგეობა. (1867 წლამდის) დადიანმა დაასწრო სოლომონს რუსეთთან შეერთება და მით შეინარჩუნა ლეჩხუმიც.

სოლ. ამის შემდეგ აშკარად გრძობდა ომს დადიანთან, არ უშვებდა მის კაცებს ციციაშვილთან. ერთსა და იმავე დროს გადაწყვეტილი ჰქონდა თურმე ოსმალების დახმარებით რუსები გაედევნა ამიერ-კავკასიიდან. ციციაშვილმა ყოველივე ეს აცნობა ხელმწიფეს, რომელმაც მასვე მიანდო იმერეთის სამეფოს დამორჩილება. ციციაშვილმა განიზრახა სამხედრო მოქმედების დაწყება იმერეთის წინააღმდეგ განჯის აღების შემდეგ. ციციაშვილს სისხლის ღვრა არ სურდა და უთვლიდა სოლომონს ნებაყოფნობით დამორჩილებოდა რუსეთის ხელმწიფეს. სოლომონმა გაგზავნა ციციაშვილთან სეხნია წულუკიძე და ქაიხოსრო წერეთელი — განჯის აღების მისალოცავად და იმერეთის რუსთა მფარველობის ქვეშ მიღების სურვილის გამოსაცხადებლად იმ პირობით, რომ ლეჩხუმი მეფეს დაბრუნებოდა. ციციაშვილმა უარი განუცხადა: ლეჩხუმი ხელმწიფემ დადიანს უკვე უწყალობა. იმერთა თხოვნით ციციშვილმა პორუჩიკი მიხეილ ვორონცოვიც კი გაგზავნა სოლომონთან, რომ მას უარი ეთქვა ლეჩხუმზე მის მიერ გაგზავნილ პირობის ქაღალდზე ხელი მოეწერა. სოლომონმა უარი სთქვა ხელის მოწერაზე.

(შემდეგი იქნება)

ილია ფერაძე.

# დაჭრილ - დახოცილი და ტყვედ წაყვანილი მეომრები

13 დეკემბერს ეკატერინეფელდთან ბრძოლაში დახოცილთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა მეორე საველე ბატარიის სახალხო გვარდიელთა სია:

**დახოცილნი:** ნარიმანაშვილი სანდრო, მარმანიშვილი გერმანე, ვაშაკიძე გრიგორი, ტიგიშვილი კონსტანტინე, მებანიშვილი სერგო

**დაჭრილნი:** ტერ-აზაროვი არშაკა, ბორცვაძე გიორგი, გონენაშვილი სოლომონი, კოხრიძე იროდიონ, ჟამერაშვილი რომანოზი, ბატონისაშვილი თედორე, შარაშიძე ისიდორე, შენგელია არტემ, სანიკიძე.

**ტყვედ წაყვანილნი:** ლოლუა დიმიტრე, ახობაძე, ახვლედიანი, კაზლოვი ალექსი.

დაჭრილ სახალხო გვარდიელთა სია, რომელნიც იმყოფებიან მე-41 ლაზარეთში.

გაბაშვილი დათიკო ივანეს ძე, კაჩეიშვილი ბუდია ფილიპეს ძე, იორამიშვილი ალექსანდრე რომანოზის ძე, შერვაშიძე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, შალამბერიძე ალექსანდრე დავითის ძე, დიდებულიძე დათიკო ილიას ძე, სანაძე აკაკი ალექსის ძე, ევაკოვი ივანე ფილიპეს ძე. ლეჟავა სევერიან სარინოს ძე, ვარდენაშვილი გიგო, მეჯირაშვილი სანდრო თომას ძე, ძირაშვილი მიხეილ ზაქარიას ძე, ილურიძე ალექსანდრე მოსეს ძე, შენგელია არტემ ილარიონის ძე, ბორცვაძე გიორგი, გონენაშვილი სოლომონ მალხაზის ძე, გოგელაური მიხეილ, ტერ-გაზარიანცი არშაკ, მეფარიშვილი აპოლონ, გვარჯალაძე ალ., ალხაზაშვილი კირილე იპოლიტეს ძე, საბაშვილი ამბროსი, სურმავა დომენტი, ჯულელი რაჟდენ გიორგის ძე, რამიშვილი დათიკო იულის ძე, ხოფერია ტრიფონ ისააკის ძე.

ოფიცრები: ვასაძე სევასტი—მე-2 სამთო ბატარეის უფროსი სახ. გვარდ., სანიკიძე აკაკი—მე-2 საველე ბატარეის უფროსი სახ. გვარდ., ქურციკიძე ალექსანდრე—1 ბათალიონის მზვერავი რაზმის უფროსი.

# ღვინით ვაჭრობა

მიწ.-მოქ. მინისტრის საბჭოს უკანასკნელ კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენება თბ. სახელმწიფო საწყობის ყოფილ საუფლისწულო ღვინოებისა ღვინის გაჭრობის შესახებ 1919 წელს შემდეგ შინაარსისა: 1) 1919 წლის განმავლობაში შელავათიან პირობებში არ უნდა იხსნას ახალი საწყობები საუფლისწულო ღვინოების სავაჭროდ გარდა უკვე აწ არსებულ 5 საწყობისა, რომელთაც უნდა მიეცეთ გასაყიდათ 19,000 ვედრა ღვინო. 2) 1919 წლის განმავლობაში ნება დაერთოს იმ პირობით რა პირობითაც თბილისის საწყობებს. გაიხსნას საწყობები ბაქოში 2 მაღაზია, ქუთაისში 1, ფოთში 1, ბათუმში 1, სოჩში 1 და სოხუმში 1. 3) კონტრაგენტებს მიეცეთ ბათუმის მაღაზიისათვის 4000 ვედრო, ბაქოს 15,000 ვედრო, ქუთაისს 3000 ფოთს 4000, სოხუმს 1000 და სოჭას 1000 ვედრა. 4) გამოწვეულ იქმნენ გაზეთის საშუალებით მსურველნი ამ ქალაქებში ზემო აღნიშნულ მაღაზიებში ღვინოების გასასყიდად. ეს მოხსენება მინისტრის საბჭომ მოიწონა და დაამტკიცა. ღვინო ამ მაღაზიების პატრონთ დაეთმობათ 10 პროც. ნაკლებ მხოლოდ იმ პირობით. რომ ჭურჭელი თავისი უნდა მიიტანოს და ბოთლების ნაცობები ნახევარი იმ რიცხვისა. რამდენ ბოთლსაც წაიღებს.

## კორესპონდენცია

### წერილი ხევიდან.

ს. სიონში თავს იფარავს ცნობილი მილიონერი სერ. საბინი მდიდარი თავრიდელი. ათი თვე არის, ის გამოეპარა ჩობანის ტანისამოსით ქალ. გროზნიდან და კავკავის გზით მოაღწია დარიალის ხეობით სოფ. სიონში, მას ბოლშევიკების მთავრობისგან გადაწყვეტილი ჰქონდა სიკვდილით დასჯა რადგანაც მან ბოლშევიკების მთავრობას არ მისცა ერთი მილიონი ვერცხლის და ოქროს ფული. მდაბიო ხალხში მას დიდი ნდობა მოუპოვია, უფრო კი მთიულ-მოხევეს მეპახუ... თან. ჩვენებური მეცხვარენი სა... თან წელიწადობით ... ცობით მიდიოდენ, სახლშიც ფუ... ახმარებდა და გაჭირვების დროს ხა... ხელსაც უმართავდა.

დღეს ეს კაცი მოკლებულია თა... სარჩო საბადებელს, ყველაფერი ... გორც უძრავი ქონება ისე მოძრ... ბოლშევიკებს მიუთვისებიათ, ქ. გრ... ნაში იგინი ამ კაცის ქონებით ხა... ბენ, და ამავე დროს მისი ცოლშვ... იქვე განიცდის შიმშილს და საბი... გადმოხვეწილი თავის ნამეცხვარ... თან სულს ძლივს ირჩენს. ამას წი... გროზნიდან ჩუმათ სწერდა შვილი:

ჩვენც დიდ შიმშილს და სიც... განვიცდით, ქონება ბოლშევიკებმა ... გვართვეს, სახლები მთლად გაანად... რეს, ქონება და ნივთები, ავეჯი ... მორთულობა სულ წაიღეს, ყველა... რი შემუსრეს, მოაჯირები და დ... ბები დასწვეს. მე წითელ რაზმში ვ... ხურობ ერთი ცხენით და იმით ხ... სული თავს ვირჩენთ. თქვენი მეცხ... რები ზოგი დახოცეს, ზოგს კი ქუ... ცოცხ - ნიჩბებით ასუფთავებინებ... ეზოებს და სხ. ჯამაგირს ისე მცი... აძლევენ, რომ პურისთვისაც ... ჰყოფნის. როგორც ჩვენ ასე მათ თ... ლისში გვსურს წამოსვლა და გზა ... გვაქვს. ყველა დაგნატრის. აქაურ ... ბავს კიდევ გაცნობებ თუ ჩუმად ქა... თველებს წერილი გამოვატანე.

კალმის-წვერა.

## თეატრი და მუსიკა

ამ თვის მიწურულში სახელმწი... თეატრში განზრახულია დაიდგას ზ... ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ ... ეთერი".

ოპერაში მონაწილეობას მიიღებ... შულგინა, ლორთქიფანიძე, ზალიპს... ბახურაშვილი, გრანელლი მოროზოვ... სა, ინაშვილი, პოლიაევი და გურ... ოპერას დასდგავს წუწუნავა ავტორ... დირიჟორობით.


# ფინანსთა სამინისტროსაგან

ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არა ჩვეულებრ... ხარჯების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს პარლამენტის ... დგენილებისა, რესპუბლიკის მთავრობა ჰსცემს 50.000,000 მანეთის 5 პროც... ტიან მოკლე ვადიან სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათ ერთი წლის ... დით (ესე იგი 1 იანვრამდე 1920 წ.).

ვალდებულება უსახელოა და დაყოფილია შემდეგ კუპჟრებად: 5,00... 1,000, 500, 100 და 25 მან.

თუ მსურველნი აღმოჩნდნენ, უსახელო ვალდებულებანი 5,000 მან. ... 1,000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობით ვალდებულებათ რაი... უნდა ჩაიწეროს თბილისის ხაზინის დავთრებში.

**ალნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფ... ლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.**

**ვალდებულება მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალის დახაფარავ... და აგრეთვე საწინდრათაც.**

**ვალდებულების შეძენა შეიძლება**

**მხოლოდ ნაღდ ფულად**

ვალდებულებათა შეძენა შეიძლება 15 იანვრიდან სახელმწიფო ბანკ... რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, კერძო ბანკებში დასაკრედიტო კოოპერატ... ვებში. 10—94—2

# ქალაქის შრომის ბირჟა

**ამით აცნობებს ყველა საზოგადო და კერძო დაწეს... ბულებებს ქ. თბ. ბანკებს კანტორებს და სხ.,**

**რომ ბირჟაში ჩაწერილია აუარებელი რიცხვი უმუშევართა; სხვა და სხ... გვარ პროფესიებისა. რომელნიც იმყოფებიან უმწეო მდგომარეობაში ხამ... შაოს უქონლობით.**

**შრომის ბირჟა** იმედოვნებს, რომ ყველა მოთხოვნილებები, როგორ... მუშებზე ისე ყოველგვარ მოსამსახურეებზე **წარმანდლულად** გმოგზავნილ ... ნება შრომის ბირჟაში, რაც მოგვცემს საშვალებას მცირედ მაინც შევამც... როდ უმუშევართა რიცხვი. შრომის ბირჟა ჰგზავნის უმუშევართ სამუშაოს... ცდილობს სავსებით დააკმაყოფილოს დამქირავებლების მოთხოვნილებანი ... უგზავნის მათ საჭირო მუშებს. გასულ წელს ბირჟამ ადგილი უშოვნა 4,0... უმუშევართ, რომელთაც სავსებით შეასრულა დამქირავებლების მოთხოვნ... ლებანი; რის გამო ბირჟამაც დაიმსახურა ერთგვარი სიმპატია, როგორ... კერძო დამქირავებლებს, აგრეთვე სხვა და სხვა დაწესებულებების მხრივ.

შრომის ბირჟაში მოთავსებულია „ცნობების მიმწოდებელი ბიურო... რომელიც იძლევა ყოველგვარ ცნობებს „ხელფასის შესახებ", უმუშევარ... რიცხვს, ცნობებს სხვა და სხვა კატეგორიის შესახებ და სხვა.

შრომის ბირჟა უფასოდ აწარმოებს საქმეებს, როგორც უმუშევართა... ვის ისე დამქირავებლებისათვის.

ბირჟას შეგიძლიათ მიმართოთ როგორც წერილობრივ, ისე ტელ... ფონით.

შრომის ბირჟა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს. შვადღის 3 ს. გარ... კვირა და უქმე დღეებისა.

მისამართი მადათოვის ქუჩა № 11, სახლი ზუბალაშვილისა, ყოფ... „ლონდონის" სასტუმროში, ტელ. 8—12.

შრომის ბირჟა უფასოდ აწარმოებს საქმეებს, როგორც უმუშევართათვის ისე დამქირავებლებისათვის.

4—2

# ქართულ დრამატიულ სტუდიაში

განახლებულია მიღება ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა (განსაკუთრებით ინტელიგე... ტებისა). ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე 11-დან 2 საათამდე ქართული კლ... ბის სცენაზე.

სტუდიის ხელმძღვანელი გ. ჯაბადარი. — ადმინისტრატორი მ. ხერხეულიძ...

(6—92—2)